

6996

F 75
1918

საქართველოს საზოგადოებრივი მეცნიერებათა ინსტიტუტი

საქართველოს
საზოგადოებრივი
მეცნიერებათა
ინსტიტუტი

საზოგადოებრივი მეცნიერებები



1918



მუხრანის
მეცნიერებათა
ინსტიტუტი

№№ I & II, 1918 წ.

კ 23
პ 2



ნ ა კ ე დ ე უ ლ ი

საგერმანოლოგიური მუზეუმი
საქართველოს მუზეუმების ცენტრი

ფელსიადი გე-სივ.

№ № 1-2.

1918 წ.

გ 23
პ 2
5185-7



კავკასიის გზა

შინაარსი

I—კავკასის გზა,—სურათი	1
II—ცისკარი,—ლექსი ს. ტაიფუნისა	3
III—ფერო,—(შემდეგი) მოთხრობა ინ-ბანისა	5
IV—გაგი,—დ. კასრადისა	13
V—ზამთარი მთებში,—ლექსი ი. სისარუღიძისა	26
VI—შავ ტუანეტას შვილობილი,—მოთხრობა ჯემისონისა, (შემდეგი) თარგმანი ღათაეო ანთაძისა	29
VII—თამარ მეფის დრო,—ი. ანთაძისა	48
VIII—ჩვენი სამშობლოს წყლები,—სავეანის-ხევის აბანო, ი. სუგაშვილისა	55
X—მოგონება აზრუმის აღებისა,—აღ. გორგაძისა	60
IX—გასართობი:—რებუსი	64



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ცისკარი



ამე ფითრდება,
ლამე თეთრდება,
ცის დასავალზე
მზის სხივი ჩნდება...



გამოიღვიძა
მძინარე სოფელი,
თეკა გადიძრო
ზურმუხტმა ველმა...

ოქროს მძივები
მთებს შემოსტყორცნა,
ყვავილთა გუნდი
ეშხით ჩაჰკოცნა...

ცაში ტოროლამ
 შეიფრთხილა,
 ლალად გაფრინდა,
 ფრთები გაშალა!..

წყარო კორდზე ხტის,
 წყარო ჩუხჩუხებს,
 ყვავილთა ბაღჩას
 პირს ჰბანს, ათრთოლებს...

განთიადია,
 ქვეყანა ხარობს,
 ყველა სულდგმული
 ზეიმობს, ლალობს!..

ვიშ, ნეტარ სხივებს,
 ოქროვან სიზმრებს,
 რა იმედებით
 აფრქვევს ტკბილ ფიქრებს!..

ს. ტაიფუნი





ზ ე რ ო

(შემდეგი*)

IX



ზირაფში მყოფნი მოუთმენლად ელოდნენ პატარა რაზმის დაბრუნებას. მზე უკვე ამოტივტივებული იყო ტატნობზე, როცა მახარობელი მოიქრა და გამარჯვების ამბავი მოიტანა. გავიდა ერთი საათი და რაზმიც გამოჩნდა. ქვეითები ცხენოსნებად ქცეულიყვნენ. ბევრი დავლა ეშოვნათ. ტურას

* იხილეთ „ნაკადული“-ს 1917 წლის მე-10, 11 და მე-12 №№.

უზარმაზარი კომბალი დაეკირა ხელში და თავისუფლად წაიღო. ჩენილ ცხენებს წინ მოერეკებოდა. ვალავანში ჟრიამული ატყდა. ჟრიამულზე ახლად ჩაძინებულ ფეროს გამოეღვიძა და გარედ გამოვიდა. უწინ ზაზა დაინახა. მხედარს სახე დაჰღვრემოდა და მოზეიმე ხალხს გულგრილად უცქეროდა.

— ბატონო, რამ დაგაღონა? — შეეკითხა ფერო. — ცუდს ხომ არაფერს მოვლი?

— ყველაფერი მოსალოდნელია, ყველაფერი! — უპასუხა ზაზამ ნელის ხმით. — შეიძლება ერთი-ორი დღის შემდეგ უფრო მრავალ-რიცხოვანი რაზმი მოგვადგეს კარსა; მერე თუ ახლა გაქცეულემაც მიუტანეს თავისი მარცხის ამბავი თვისიანებსა!

— შე დალოცვილო, ეგ რა ძალიან გაღონებს? ეს ხომ ვიცით, რომ მთლად მტრის ჯარი აქეთ არ წამოვა. მეფე ხომ საბოლოოდ არ არის დამარცხებული. მტრის უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ დაბანდებულია. ვთქვათ აქეთ გუშინდელზე ორჯელ ან სამჯერ მეტი რაზმი წამოვიდეს, განა ვერ გაუმკლავდებით? მინამ ისინი მოვლენ, მინამ მგონია არც ჩვენ ვისხდებით გულხელდაკრფილი, მოგემზადებით.

— ვინ იცის! ვინ იცის! — სთქვა ხელის ჩაქნევით ზაზამ და ამოოხვრით ფეროსკენ გაიხედა.

— მე ვიცი, მე ვიცი, ქაბუკო, რაც გაღონებს! — სთქვა თავის გუნებაში ეფრომ და ნაომარ რაზმელებისაკენ გასწია.

ვალავანში მყოფნი ტურასა და ცელქს გარს შემოჰხვეოდნენ და ბრძოლის ამბავს ყურს უგდებდნენ.

— მერე და, იმოდენა ნაბდები სად იშოვეთ? — ჰკითხა ახლად-მოსულმა ეფრომ, რომელმაც ყური მოჰკრა ტურას უკანასკნელ სიტყვებს.

— სადა და ზაზასა ჰქონდა ტყეში, — მიუგო ტურამ. — ერთ მიუზნებელ ადგილას, ტყეში, გვირაბი არის. ცელქი და ზაზას სხვა ამხანაგები რომ არ ყოფილიყვნენ, აი ცელქთან ერთად რომ მოსვიდნენ ზაზას გასატაცებლად, მე ვერაფერსაც ვერ ვიპოვიდი. გვირაბში უშველებელი ოთახები



ენახე: კაი სასახლეებიც ვერ იქნება ისე მოწყობილები, როგორც გორც ისინი. რა გინდა სულა და გულო იქ არა ენახე!.. მგლის ტყავეებიც იქიდან წამოვიღე.

— ე მგლის ტყავეები რაღად გინდოდათ? — შეეკითხნენ მსმენელნი.

— რაღად და ცხენის ჯოგის დასაფთხოვად... ჩავაცვიტ, ბიჭებო, ეს ტყავეები მგელასა და ცელქის ამხანაგებს და მივეუტიეთ ჯოგსა. უნდა გენახათ თქვენ იმათი გადარევა, რა იყო!.. თავიანთი პატრონები ნახევარზე სულ თვითონ გასრიეს ფეხითა!

ტურას ფანტაზია საზღვარს გადავიდა და ვინ იცის რა სასწაულები არ გაიგონეს მსმენელებმა!.. მტრის რაზმი ტურას თავში დიდ ჯარად იქცა.

— გეყოფა, ტურავ, გეყოფა! — შეაწყვეტინა გიგიმ ლაპარაკი. — შენი ლაპარაკით ისევ სჯობია ქათმები მოატყუო... ხალხნო! — მიუტრიალდა ახლა სხვა ნაომარ რაზმელებს: — წამოდით, პატარა შენაყრდით და დაისვენეთ, თორემ მერე ვეღარ გამოდგებით. ბატონი შეილო! — მიმართა გიგიმ აივანზე მდგომს ფეროს, — მიბრძანე, სად გავუმასპინძლდე!

— თვითონ საცა მოისურვებენ, — უპასუხა ფერომ და აივნიდან ძირს ჩამოვიდა. უნებლიედ ზაზას ახლოს გაჩერდა. ნაყაჩაღარი ქალს ანდამატივით იზიდავდა.

— გალავანში, სხვაგან არ გვინდა, გალავანში! — გაისმა ხმები.

გარედ ნაშინარევი თინანო გამოვიდა. ფერო რომ დაინახა, ხელები თავში შემოირტყა.

— თვალები კი დამიდგეს, თვალები! მე რაღა სასიკოცხლო აღამიანი ვარ! — დაიწყო მოხუცმა თავისებურად. — შენ კიდევ ამდგარხარ? აგრე კოტა ძილი რას გეყოფა? წამო, თავს შემოგვეღე, წამო!..

— შენ ე, ბებერო, გაგიგოს ერთი ბატონმა! — დაუძახა გიგიმ ხუმრობით. — წავა, გამოიძინებს... თვითონ მთელი დღე სულ სძინავს ხოლმე, თავისი გაზრდილი კი სულ ავიწყდება.

— რა ვუყო, გენაცვალეთ? — სთქვა თინანომ წუწუნით. მემ დავითს გამოვუცხადე კიდევ, დავებრდი, აღარ შემიძლიან შენი შევილის მოვლა-მეთქი! დროა პატრონი უშოვო-მეთქი. მაგრამ რომ არ გამოგონა! ჯერ დამაცალეო... ღმერთმა ქნას, რომ ლაშქრობაში ვინმე ნახოს და თავის ქალის საქმროდ მოეწონოს!

ამ სიტყვების გავონებაზე ფერო გაწითლდა, ზაზა კიდევ გაფითრდა; ცოტა გაწყდა არ წაბარბაცდა. როგორც იყო თავი შეიმაგრა, მოსცილდა მოლაპარაკეთ და ნელის ნაბიჯით ბურჯებისაკენ გასწია.

— გასაკვირველი არ არის! — წამოილაპარაკა მიმავალმა მორბენალიძემ მწარე ღიმილით. — მეფესთან ახლა თავმოყრილინი იქნებიან საუკეთესო გვარიშვილები. დავითს შეუძლიან არჩევანში შევიდეს... მერე თუ მეფეც გაიმარჯვებს!.. ღმერთმა ქნას რომ გაიმარჯვოს, ღმერთმა ქნას! ვისი რა ბრალია, ზაზა, შენ რომ უბედურ ვარსკვლავზე იყო გაჩენილი? რომელ წარჩინებულს მიუთხოვებია ყაჩაღისათვის ქალი? მერე ასეთ სახელგატეხილისათვის, როგორიც შე ვარ!

ზაზას სულის მდგომარეობა ფეროსა და ეფროს გარდა არავის შეუნიშნავს. ფერომ იგრძნო და ეფროს თვალით დაინახა.

— რა არი, თინანო? — უთხრა წყრომის კილოთი თავის გადიას ომანიძის ასულმა. — რათ იცი შენ ეგ წინდაუხედავი ლაპარაკი?

— რა ვქნა, შვილო! — უპასუხა მოხუცმა. — გამოვსულეღლი... წამო, გენაცვალე, პატარა კიდევ დაიძინე, თორე ავად გახდები!.. წამო!

— თავი დამანებე, თინანო, ნუ გადამეკიდე! თუ გინდა, ისევ შენ თვითონ დაიძინე! — უთხრა უკმაყოფილოდ ფერომ და აივნისაკენ გასწია.

ეფრო კიდევ ზაზას გამოეკიდა, წამოეწია და გამოელაპარაკა:

— ბატონო, განა სახელგატეხილს კი არ შეუძლია ვისი სახელი აამაღლოს?

— რათ მეკითხები მაგასა?— შეეკითხა მორბენალიძე.

— ისე! მე მგონია, რომ შეუძლიან აამაღლოს, — სთქვა ფერომ და ახლო მდგომ შემორებს მიუტრიალდა.

X

მეორე დღით მზირავის ვალაყანში სამოციოდე შეკაზმული და დაბარგული ცხენი იდგა. მეომართ გადაეწვტათ: ომანიძის ასული ფერო და დედაკაცები წვრილფეხობით მთაში გაესტუმრებინათ და ომანიძის ორბის ციხეში დაებინავებინათ. თვითონ კი ჯერჯერობით, სანამ მთრიან ცხენები არ დაბრუნდებოდნენ, წასვლას არსად აპირობდნენ.

დედაკაცები და წვრილფეხობა უკვე მზად იყვნენ და ფეროსა და თინანოს ლა ელოდნენ. სახლიდან გამზდელი მოხუცის წუწუნით ლაპარაკი ისმოდა. ეტყობოდა ფეროს რაღასაც უშლიდა.

— ნულარ იგვიანებთ! — შესძახა გიგი.

— ემ საათში, გიგი, ემ საათში! — მოისმა პასუხად ნაზი, წკრილა ხმა, და აივანზე საომარ ტანისამოსში გამოწყობილი ფერო გამოვიდა. უკან თინანო გამოჰყვა.

— აბა, შვილო! — ეუბნებოდა მოხუცი ახალგაზდა ქალსა. — რა შენი საქმეა ჯავშანის ჩაცმა, ან მუზარადის დახურვა? ვაეკაცი ხომ არა ხარ? გასათხოვარი ქალი ხარ.

— ბატონიშვილო, ეგ რა გიქნია? — შეეკითხა გაოცებულნი გიგი.

— რა მიქნია! რომელიც გინდათ გამოდით ჩემთან ხმალში! — მიმართა შემორებს მომხიარულებულმა ფერომ. — მომგვარეთ ჩქარა ჩემი ცხენი!

აღტაცებულმა ტურამ არავის აცალა, წაავლო ოქროს რახტიან ცხენს ხელი და აივანთან მიაყენა. ქალმა მალა

მფრინავი მერცხალი დაინახა, მოიმარჯვა შეილდი და ამოიღო: საბრალო პატარა ჩიტუნია გულგაისრული ჩამოვარდა ძირსა. მაყურებელნი გაჰკვირდნენ. ასეთი მარჯვე სროლა დიაცისა ჯერ არ ენახათ.

ფერო ცხენს მოახტა, მოსწია სადავენი და ყალყზე შეაყენა. ამის მნახველს თინანოს კინალამ გული არ წაუვიდა. მაყურებელთ პირები დააღეს. ფერომ ყალყზე შემდგარ ცხენს დეზი ამოჰკრა, გალაგნის საჯირითო მოედნისაკენ გაახტუნა, ერთი-ორჯელ წრე შემოაუარა და თვალეზ-გაბრწყინებული გაჩერდა.

— აბა ვინ შემებმის?— მიმართა კიდევ მეომრებს ომანიძის ასულმა.

ყველანი უძრავად იდგნენ.

ზაზას სახე მზესავით უცინოდა. ქალის სიმარდემ ცათაფრენა მოჰგვარა.

— მაშ არავინ შემებმის?— იკითხა უკანასკნელად ფერომ და, როცა ნახა, რომ არავინ არაფერს აპირობდა, დაღონებულმა დასძინა:— ნეტავი მეც ვაჟად დავბადებულიყავ! მაშინ მეც ხომ შემედლებოდა თქვენთან წამოსვლა, მტრის გულის ლახვართ გაგმირვა... აბა, ვინ მოდის მთაში?— მიმართა ქალმა ახლა გიგის.— წავიდეთ.

ქალმა მთა ახსენა და ყველანი გამოირკვნენ. ზაზას სახე მოელეშა.

ცხენების ქარავანი გავიდა გალაგნიდან და ვიწრო ბილიკით ჩრდილოეთისაკენ გაემართა. გიგი, ეფრო და ათიოდესხვა მეომარიც თან გაჰყვნენ. როცა პატარა მოშორდნენ შირავესა, ეფრო წინ მიმავალს ფეროს წამოეწია და გვერდში ამოუდგა.

— ნება მიბოძე, ბატონი შეილო, გზაში გემსახურო!— მოახსენა ომანიძის ასულს ხნიერმა მეომარმა მოწიწებით.

ფერომ თავის დაქნევით თანხმობა გამოუცხადა.



ფერო ძალიან მოეხიბლა ზაზას კეთილშობილურ და იმის გარშემო გავრცელებულს ხმებს ჰორებს ეძახდა, უნდა და ყველასთან გაექარწყლებინა. ფეროსთანაც ახლა სწორედ ამ აზრით მივიდა. გუნებაში სულ იმას იძახდა ზაზაზე: ეგ ცუდი საქმის ჩამდენი არ არისო. აიძულეს და ყაჩაღობა დაიწყაო. მერე ფეროს თითო-ოროლა სიმართლეს არმოკლებული ამბავიც მამუკა მორბენალიძის ახალგაზდა ცოლზედაც გაეგონა და ამბობდა: ქალი უნდა იყოს დამნაშავეო. ყველა ამნაირ ოინბაზობის დამწყები არ შეიძლება რომ ქალი არ იყოსო, თან დასძენდა ხოლმე, თუ კაცს უნდა კაცის სახელი გამოისწოროს, ისევე ქალიდან უნდა დაიწყოს, ქალის გულში გააკარგოს და მერე საქმე თავისთავად გაკეთდებაო.

ფეროსთან პირდაპირ ზაზაზე ლაპარაკის ჩამოგდებას კეთილი ადამიანი ცოტა უხერხულად სთვლიდა და ძალიან შორიდან მოუბრა.

— ბატონიშვილო, ჩემ თავს ნებას მივცემ და გკითხავ! ნუკი გამირისხდები, შენი ჰირიმე! — უთხრა ფერომ ფეროს. — სად ვისწავლია ცხენზე ჯდომა? თქვენისთანა მხედარი ბევრი ვაქცაოც ვერ გამოვა.

— ტურამ ვისწავლა! — მიუგო ომანიძის ასულმა. — მამა ჩემს ტურა შეჯინბეთა ჰყავდა, როცა მე ცხრა წლისა ვიყავი.

— მერე მამა არ გიშლიდათ?

— არა, მამას ძალიან ვუყვარდი და ახლაც ვუყვარვარ. როცა რამეს ვთხოვდი, უარს არ მეუბნებოდა.

— ისრის სროლა ვილამ ვასწავლა?

— მე თვითონ ვისწავლე. პატარაობიდანვე ვარ შეჩვეული ხმალსა, ხანჯალსა და შვილდ-ისარსა.

— უნდა ვითხრა, ბატონიშვილო, რომ შვილდ-ისრის ხმარებაში მარტო ზაზა მორბენალიძე თუ შეგედრებათ, თორემ სხვა არავინ.

ზაზას გახსენებაზე ქალი ჯერ წამოწითლდა და მერე დაღონდა.

— მართლა მოგახსენებ, ბატონიშვილო! — სთქვა ეფროსმა და დაეხრებოდა ნებისმიერად და ეფროსს ცნობის მოყვარეობით თვალი გადააელო.

— მითხარი, ეფროს! — მიმართა უცბად ეფროსს, — შენ გჯერა რასაც ზაზაზე ლაპარაკობენ?

ეფროსს სიამოვნების ღიმილი გადურბინა სახეზე; საქმე უადვილდებოდა, ომანიძის ასულმა თვითონ დაიწყო მორბენა ომანიძის პირად ცხოვრებაზე ლაპარაკი.

— არა მჯერა, ბატონიშვილო, არა! — გაისმა აჩქარებული პასუხი.

— რატომ?

— რატომ და ეგ მაგ საქმის კაცი არ არის. ხომ ნახეთ, როგორ კეთილშობილურად მოიქცა? ცუდი კაცი რომ ყოფილიყო, თავის ამხანაგებს აპყვებოდა და გაპყვებოდა. ჩვენ კიდევ უწინამძღოლოდ დაერჩებოდით.

— მეც ეჭვი შემეპარა, — სთქვა ეფროსს და ცხენს დეზი ამოჰკრა.

— ბატონიშვილო, რას სჩადი! — წამოიძახა ეფროსი. — თავიქვეა.

— მე თავიქვისა არ მეშინიან, — მოისმა კარგა დაწინაურებული ქალის ხმა.

— შვილო, რას სჩადი? — დაადევნა უკან სიტყვები ახლა თინანომ.

მაგრამ მოხუცებულ გამზღელს ომანიძის ასულმა ყური არ ათხოვა.

ეფროსს მიზანძვით ეფროსმაც ცხენი გააქენა. წინ კარგა მოდიდებული მდინარე იყო გასასვლელი და საქირაო იყო ბატონიშვილს გვერდით ვინმე ჰყოლოდა. გიგაც წინ წასულებს გამოეკიდა.

ინ-ბანი

(შემდეგი იქნება)



გაგნი



იქოს, ვინ მოუყვანიათ?—ერთხმად შესძახეს ბავშვებმა, როდესაც გაგი დაინახეს:—შეხეთ, შეხეთ, როგორ იბღვირება!..

— დამფრთხალი კამეჩია!—შენიშნა მეორემ. გულიანად გაღიხარხარეს.

— ვვონებ ახლად მობარებული უნდა იყვეს, — სთქვა მესამემ.

— ახლად? ვინ იცნობს?

მზრები იიწიეს. არ ესიაზოვნათ, რომ მეტად ტლანქი ამხანაგი უნდა შესძინებოდათ.

— გამარჯობა შენი, — უთხრა ერთმა თამამთავანმა. ჟრია-მული შეაჩერეს. სკოლის კედლებმა შვება იგრძნეს. ცნობის-მოყვარეობით უცნობს გარს შემოეხვივნენ და თავით ფეხამდე თვალით სქამდნენ. არაფრად მოსწონდათ მისი უზარმაზარი, ყურებამდინ ჩამოფხატული ცხვრის ტყავის ქუდი, არც ველურად დაქყეტილი თვალები, აბურძგნული თმა და აბუე-ბული მეტყველება.

— გამარჯობა, გამარჯობა!.. — დაუმატეს ახლად მოსულეებმაც. გაკიმ უზაროდ სალოკი თითი ტუჩებთან მიიღო და ოდნავ გასაგონარი ხმით უბასუბა:

— გაგიმარჯოთ...

* ახლა ბავშვები დაიბნენ და არ იცოდნენ—რით და როგორ დაეწყათ გამოკითხვა. დუმილმა ჩამოირბინა. ბოლოს ისევ პირველის სითამამემ გასკრა:

— შენ ვინა ხარ?..

— გაგი...

— გაგი?!

უცნაურად ერთმანეთს გადაჰხედეს: არ გაეგონათ ეს სახელი.

— გაგიო!?!..

— გაგი!—უბასუხა ხელახლად და ნაღვლიანად კოპები შეეკრა.

ის-ის იყო შეკითხვა უნდა განეგრძოთ, ერთმა ნაპირზე მდგომმა ველარ მოითმინა და ყველას გასაგონად წაიფრუტუნა. ეს კი საკმარისი იყო, რომ სხვებსაც ბანი მიეცათ. თითონაც არ იცოდნენ რად. სიცილ-ხარხარი ასტეხეს და მუგულლით დამფრთხალ თავგებისავეთ გაჰკურცხლეს.

გაგი გაშრა. მთლად გადირია. ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა. უნდოდა გაქცეულიყო. თავს ისე ჰგრძნობდა, თითქოს ცეცხლმოდებულ ოთახში დასასჯელად გამოემწყვდიოთ. სული ებუთებოდა. ცრემლები მოაწვა, მაგრამ თავს ძალა დაატანა და წამწებებით ამოიმშრალა. გულში სწყევლიდა ნათლიას, რომ ჯოჯოხეთში გადმოაგდო. რად ეკირვებოდა? არ ერჩივნა იქ, მთებში ლალად ჯერინებთან და ირმებთან ერბინა? აგერ მეორე დღეა, რაც ქალაქში ჩამოიყვანეს და ამ უცნაურმა მოძრაობამ, სასიზმრო განათებამ და ხმაურობამ, ახლა დღევანდელმა ამბავმა სულ დაავიწყა თვით ის აღტაცების წუთები, ანანურის მთებში არაგვის პირად გაზაფხულის პირს რომ მოწმე გახდა, თუ ქალაქიდან ჩამოსულმა მისმა ნათლიამ როგორ გააგორა ლამაზი, რქებ-დაყრილი ხარ-ირემი!

— ახ, დედას დაველიე, იქ არა სჯობდა?—გაიფიქრა



თავისთვის და წყველა დაუწყო იმ წუთს, როდესაც მოინდომა მისი გაქალაქება და სკოლაში მიბარება.

— რა უნდათ ჩემგან, რატომ მსჯიან?— გაიფიქრა ხელახლად გაგიმ და, კედელზე აკრული, ჩოჩვით კუნჭულამდინ მიიბარა და აქედან გორიზად დაუწყო ყურება თავის მომავალ ამხანაგებს, რომელთაც ასე უმართლოდ აიგდეს იგი.

— ერთი საჩვენოში ვნახავდეთ, მე ვჩვენებდით სერს! დაიშურა გულში გაგი და კვლავ ზიზღით თვალს არ აშორებდა მათ.

II

— წკრრრ!.. წკრრრ!.. წკრრრ!..— გაისმა ზარის ხმა. ბავშვებმა კლასს მიაშურეს. აქა-იქ ბლბლუნით, ყირაზე გადასვლით და შუბლზე ოფლის წმენდით თავთავიანთი ადგილები მონახეს. ამასობაში მასწავლებელიც გამოჩნდა. ხმაურობა შესწყდა. ყველანი ფეხზე წამოდგნენ.

— შენ მანდ რას აკეთებ?— შენიშნა გაგის მასწავლებელმა:— ხომ არაფერ გაგაჯაფრა?

გაგი უხმოდ წამოვიდა, თავდალუნული, ფერპკრთალი, თითქოს რაღაცა დანაშაული ჩაედინოს. მასწავლებლის მიერ ნათითებ წინა სკამზე ჩამოჯდა.

— შენი ადგილი ვგ იქნება!— შემდეგ დანარჩენთ მიუბრუნდა:— დასხედით!..

ბავშვები დასხდნენ. არაჩვეულებრივ ცნობისმოყვარეობით ხან მასწავლებლისკენ, ხან კიდევ ახლად შექმნილ ამხანაგისკენ გადაიხედ-გადმოიხედეს და თავ-თავიანთი წიგნები გადაშალეს.

— ასე, ჩემო პატარავ, — განაგრძობდა მასწავლებელი, — დღეიდან შენც ჩვენი შეგობარი იქნები. ნუ გეშინია: თავი მაღლა ასწიე... ჰო, აგრე... ესეც დაიხსოვ, როცა მასწავლებელი გელაპარაკება, უნდა ადგე.

ბავშვი წამოდგა. ყურებადინ სიწითლით ატკვრეცილი ცახცახმა აიტანა.

ბავშვებს უკვირდათ მასწავლებლის თავაზიანობა და ასეთი აღერსიანი მოპყრობა გავისადმი. ეგონათ, ნათესავიო. ამიტომ ძალზე ეუცნაურათ, როდესაც მასწავლებელმა გამოკითხვა დაუწყო:

— რა გქვიან?

— გაგი...

— რამდენი წლისა ხარ?

გაგიმ თითებზე დაიხედა, სათითაოდ დასთვალა, ეტყობოდა, რომ შეეშალა, რადგანაც ხელახლად მოპყვა თელას. ბავშვებმა ვერ მოითმინეს:

— ფხუკ!.. ფხუკ!..

ჯერ სულ უკანა სკამზე. ყველამ მიიხედა. ერთმანეთს გაულრიჰეს, რაღაცა წასჩურჩულ-წამოსჩურჩულეს და მალე სიცილი ელვასავით მოედო მთელ კლასს.

— წყნარად! ეს რა ამბავია?— ბავშვები გაქვავდნენ. მასწავლებლის სიყვარული და პატივი რომ არ შეინახეს, თვითონვე შერცხვათ.

— ამხანაგი შეგეძინათ, რა არის აქ საცინელი?— შემდეგ ბავშვს მიუბრუნდა:— რა გვარი ხარ, პატარავ?

— ხევისურიშვილი...

— სადაური ხარ?

— ფ—სნაურელი.

— სადაური?

— ფ—სნაურელი...

— მოხევე ყოფილხარ.

— მოხევე... ფ—სნაურელი...

— ჰო, მესმის, მესმის, ფასანაურში ვყოფილვარ, გავლით, სამხედრო გზით. კარგი ადგილია...

— რამდენსამე ბავშვს პირზე ღიმილმა გადაჰკრა და მასწავლებლის ჩუმად ერთმანეთს წასტუტუნეს:

— ფ—სნაურელი..

— კარგი, ჩემო გაგი, დაჯექი, სადღესოდ ეს იკმარებს ჩვენ გასაცნობად. მახარებს, რომ ისეთი კუთხის შვილიც ჩამოგვერიე.

გაგი დაეშვა. მხოლოდ ახლა გადაჰყლაპა ყელზე დამდგარი ნერწყვი. განსაკუთრებით მაშინ, როცა ჩვეულებრივ მეცადინეობას შეუდგენენ.

აქაც არა ნაკლებ გაშტერდა გაგი, ვიდრე წინა დღეს, როცა მოძრავ ქუჩებში პირველად გამოიყვანეს. ერთგვარ ბურანში იყო: მასწავლებლისა და მოწაფეების ხმა ნახევრადაც არ ესმოდა. გრძნობდა კი, რომ რაღაც კარგი რამ უნდა ყოფილიყო სწავლა, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო, სახელდობრ როგორ იძენდნენ მას, ან ისეთი უსულო საგანი, როგორიც წიგნია, როგორ ელაპარაკებოდა მათ.

როცა გაკვეთილი გათავდა, მასწავლებელმა ხელახლად მიჰმართა კლასს:

— ვინძლო გაგი მალე გაიამხანაგოთ. არა აწყინოთ-რა. მე მწამს, რომ მალე მოშინაურდება, ყველას შეიყვარებს და ჩვენც შევიყვარებთ,— შემდეგ თვით გაგის მიუბრუნდა:— ადექ, ამათში გაიკუნტრუშე. თუ ვინმემ რამე გაწყუენოს, მე მზად ვიქნები დავიფარო...

III

მასწავლებლის წინასწარმეტყველება ახდა. გაგი მალე შეეჩვია ამხანაგებს. მასწავლებლის ტკბილმა სიტყვებმა და სიყვარულმა მოინადირა მისი გული. წერა-კითხვა ისწავლა. ბეჯითობამ და მუყაითობამ ამხანაგებთან გაათანასწორა იგი. ზოგს კიდევ აჯობა.

— აი, რას ნიშნავს, როცა ადამიანი მოისურვებს,— უთქვია ხშირად მასწავლებელს:— გაგი მალე მთელი კლასის სიამაყე გახდება.

არავისაც არა სწყენია გაგის პირველობა. პირიქით— უხა-

როდით კიდევ. ის ისეთი შორცხვი, გულკეთილი და მოსიყვარულე შეიქმნა, რომ უნებურად ყველას თავს აყვარებდა.

მიუხედავად ამისა გაგი გულ-ჩათხრობილი გახდა. ვერ აგინხნიდით, რა უნდოდა. რაღაც გამოურკვეველმა სევდამ მოიცივა მისი სახე. მისი მკვირცხლი, სიცოცხლით მგზნებარე თვალები ცეცხლსა და ელვარებას ჰკარგავდნენ და აედამყოფურ სინაზისა და სიწყნარის მანდილით ემოსებოდნენ.

— ბავშვს რაღაცა აწუხებს... ავად არის... — სთქვა ერთხელ მასწავლებელმა.

მეგობარ ექიმს დაუძახა, მაგრამ ვერც ამან ამოიცნო გაგის მკენესარე გულის საიდუმლო.

— გტკივა რამე?

— არა, მასწავლებელო.

— იქნებ სოფელში წასვლა გინდა?

— რასა ბზნებთ, მასწავლებელო, აქ ისე კარგია, რომ... ასე მგონია, რაც ქალაქში ჩამოველ, ახლად დავიბადე მეთქი. კარგი რამ ყოფილა ეს წიგნი. არც კი ვიცი, ამ წიგნზე უკეთესი თუ კიდევ რამე იქნება... სულ მინდა ვიკითხო, ვიკითხო... ყოველთვის ახალ-ახალს მეუბნება... როგორ გგონიათ, მასწავლებელო, კიდევ ბევრი დამპირდება, რომ ჩქარა შემემძლოს კითხვა.

— რა თქმა უნდა, ჩქარა...

— ოჰ, რომ შეიძლებოდეს...

— მაგრამ შენ ძლიერ ჩქარობ; არც ეგ ვარგა: ყველაფერი რიგითაა. აგერ მეოთხე თვეა, რაც აქა ხარ, და უკვე თამამად კითხულობ. ერთი სამი წლის შემდეგ სასწავლებელში კაცი არ გეჯობინება...

ბავშვმა შორცხვად თავი დაჰხარა.

— მე სხვისი ჯობნა არ მინდა, სწავლა მინდა, მხოლოდ სწავლა ..

— აქი ვთქვი, ჩვენ საუკეთესო მეგობრები გაეხდებით-მეთქი. რაც მეტს ისწავლი, მით უფრო გაგიცხოველდება სწავ-



ლა, კაცი გამოხვალ, დაუბრუნდები შენს ხეობას და ახლა იქ დაანთებ იმ სანთელს, რასაც აქედან წაიღებ. ჩემის მხრით ვეცდები საუკეთესო მეგობრები ვაგვიჩინო: მთელ ჩემ წიგნებს შენ დაგილოცავ, ოღონდ ეგ ხალისი და სწავლის წყურვილი არ მოიშალო...

— მასწავლებელო... მასწავლებელო! — სიხარულით შესძახა გაგიმ და უეცრივ ხმა ჩაუწყდა. შემდეგ ცრემლ-მორეული მოეხვია, ხელი დაუქირა, აკოცა და ნაზად წაიჩურჩულა:

— თქვენ... თქვენ... წიგნზედაც უკეთესი ბრძანდებით...

თავის მხრით მასწავლებელმაც მღელვარება ვერ შეიმავრა და გაგის მხურვალედ შუბლი დაუკოცნა.

IV

ახალი გაზაფხული სიკოცხლის სურნელს მოაფრქვევდა. სკოლის გაღებულ სარკმელს თამამად შეჰხაროდა თეთრი ყვავილით დათოვლილი აკაცია. კუნწულ-კუნწულა ყვავილებს თეთრ ფუტკრებად შეხუნძლულიყვენ და კლასის დახშულ ჰაერს საამური სურნელით სწმენდნენ.

პირველი გაკვეთილი გათავდა. გაგიმ სიამოვნებით ამოისუნთქა, რადგან არ უყვარდა რუსული ენა, და პირველი გაკვეთილი კი მას მოანდომეს. მის ტლანქსა და მოუხეშავს ენას ეპირვებოდა საკმაოდ მოქნა-მოთელევა, რომ უცხო სიტყვები შესაფერისად გამოეთქვა. ვერც მიმხვდარაყო, რა საკირობებს შეადგენდა მისთვის ეს რაღაც მიუწღამელი რამ. სამაგიეროდ ხალისით ეკიდებოდა ქართულს. აი, დღესაც მეორე გაკვეთილი ქართულია, და მისი გულიც იმ სიხარულით ჰფეთქს, როგორც ლიტანიობა ღამეს. მასწავლებლის შემოსვლაზე წიგნი სახელდახელოდ გადაშალა.

— დღეს, ყმაწვილებო, ახალი ლექსი უნდა შევისწავლოთ, — სთქვა მასწავლებელმა. — აეტორი თქვენი დიდიხნის ნაცნობია: რაფიელ ერისთავი.



ბავშვებს გაეხარდათ. უყვარდათ, ყველას გულს ღრმად სწვდებოდა ხოლომე ამ ავტორის ლექსთა ჰანგები.

— მაგრამ ვიდრე თვით ლექსს გავაცნობდეთ, მე მსურს პირობა ჩამოგართვათ: ყოველი ბჭკარი ისწავლოთ შეგნებით, გულდასმით. ვინც არ ისწავლის, ნურც კლასში გვეჩვენება—პატივის ღირსი არ იქნება იგი, იმიტომ რომ ამ ლექსის უპატიობა—უპატიობა იქნებოდა ჩვენი მშობელი ქვეყნისა. ეს ლექსია „სამშობლო ხევსურისა“.

ბავშვებმა ყურები სცქვიტეს და სწრაფად გადაშალეს წიგნის შესაფერი გვერდი. მასწავლებელმა მიუთითა. ყველა დაირაზმა. სიჩუმე ჩამოვარდა. უნებურად რაღაც ძლიერი სიტყვის მოლოდინში იყვნენ.

მასწავლებელმა ჯერ თვითონ წაიკითხა დინჯად, გარკვევით, ადგილების გამოკრებით და საგანგებო ხაზგასმით, რომ ბავშვებს არც ერთი სიტყვა არ დაჰკარგოდათ უმნიშვნელოდ. მართლაც, ყოველი ტაეპი ანდამატსავეთ მიმზიდველი გამოდგა. რაღაც იღუმალი ძალით თვითეულ სიტყვიდან იფრქვეოდა უცნაური სურნელი, თითქოს გულის უხილავ კუნჭულიდან საღმრთო ცეცხლზე იწვის სამადლობელი გუნდრუკიო.

მასწავლებელმა გაათავა. ოფლი მოიწმინდა. თითქოს ბავშვებიც დაიღალნენ, თითქოს კიდევ რაღაც მოლოდინში იყვნენ. ის-ის იყო მასწავლებელი ლექსის ტაეპობით განხილვას აპირებდა, რომ აცახცახებულმა გავიმ წამოიწია. მისკენ მიიხედეს.

— რა გინდა, გავი?

— არაფერი...

— მაინც?!

— მე მინდოდა, რომ... რომ...

— რა?!

— ნება მომეცით წავიკითხო...

— კეთილი, მაგაზე ადვილად ნებას არაფერზე არ დაგრობდი. წაიკითხე.

გაგიმ ნერწყვები გადაჰყვამა. გრძნობის ყვავილად გადაშლილი ისე თრთოდა მისი ხმა, როგორც ცელქი სიოთი აქროლებული მაისის ვარდის საამური ზღაპრის ჩურჩული. აი, გაათავა ერთი ტაეპი და მოჰყვა მეორეს. გრძნობათა სიჭარბემ დასძლია. თრთოლვამ უმატა.

„მე მარჩვენაა შავი კლდე თოვლიან-ყინულიანა,
 ორბი რომ ბუდობს, ჩანჩქერაც გადმოჰქუხს ბროლი-წყლიანა.
 ჭიხე და არხე შეუოფა, ხორცი აქვს მარადიანა...
 არ გავცვლა საღსა კლდეებსა უკვდავებისა ზეზუდა,
 არ გავცვლა მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნას სამოთხეზედა...“

ახლაკი ბავშვის მღელვარებამ საზღვარს გადააბიჯა. გაგის თითქოს სული ეხუთებოდა, შემდეგ, თითქოს ველის ყვავილს მოულოდნელმა ქარმა შემოჰბერაო, ხმა ჩაუწყდა, დაეშვა სკამზე, თვალებზე ხელი მიიფარა და ცრემლებით წაიქვითვითა:

— არ შემიძლია, არა, არა...

ბავშვებმა თვალები დააქუციტეს. მასწავლებელმა შუბლზე ხელი მიადო, საკუთარ ხელცაბოცით ცრემლები მოსწმინდა:

— რა მოგივიდა, გაგი?

— არაფერია... მეც არ ვიცი... ეს ისე კარგია, რომ...

— ვიცი, ვიცი... მაგრამ სატირელი მაინც არა არის-რა.

— შაპატიე; მასწავლებელო...

— არც საპატიებელი რამეა. — შემდეგ მორიგეს სთხოვა კლასის მზრუნველისთვის დაეძახნა:

— გაგი ავადაა, საჭიროა ექიმმა ნახოს-თქო...

V

გაგი მთელი დღე არ ამდგარა. სიცხე საშინლად აწუხებდა. ჰბოდავდა. მასწავლებელიც და ექიმიც თავზე დასტრიალებდნენ. ბოდვაში არა ერთის გზით გაარჩიეს გაგის წარმოთქმული სიტყვები: „არა ვინდომო ეგენი, არ მოკვდეს ჩემი თავიო“.

— ახლა კი მესმის,—სთქვა ექიმმა,—თუ რითი არის ბავშვი ავად: „მელანქოლია პატრიოტიკა*“... გამონელდება თუ არა, დაუყოვნებლივ თავის სოფელში უნდა გაიგზავნოს. სამშობლო ჰაერი სულ მალე გამოაბრუნებს.

სალამოთი ამხანაგები მოუვიდნენ. აუარებელი ყვავილეები მოუტანეს. ყველას ნაღველი გადაჰკვროდათ:

— როგორ გგონიათ, მასწავლებელო, მორჩება გაგი?

— როგორ არა, განა რა არის აქ საეჭვო?

— რა ვიცი...

მართლაც, გაგი სამ დღეზე ისევ ფეხზე აღგა. ექიმმა ნება დართო სოფელში წასულიყო. მისი ნათლია დაიბარეს. როცა სადგურთან გაიყვანეს, მასწავლებელი თავის მოწაფეებითურთ მოვიდა და გაგის საჩუქრები მოუტანეს: წიგნები, ყვავილები, ტკბილეული. გაგი სიხარულით სტიროდა. ყველას ჰკოცნიდა, ყველას ერთსა და იმავეს ემუდარებოდა, არ დამივიწყოთ, მნახეთო. ესენიც თავის მხრით ავალებდნენ:

— აი, მალე მორჩი და ჩამოდი, თორემ ხმასაც არ გაგცემთ...

— რა თქმა უნდა, ჩამოვა,—თავის მხრით ჩამოერია მასწავლებელი:—აბა, გაგი, ყოჩაღად იყავი. ამ ზაფხულს უსათუოდ გეწვევი.

— მართლა, მასწავლებელო?

— ხომ იცი, რომ შენი მასწავლებელი არ იცრუებს...

*) სედა სამშობლოსთვის.

— ოპ, თქვენ... თქვენ...

უსიტყვოდ მოეხვია. ამასობაში მატარებელიც მოგრაილდა. გაგი დააბინავეს. მეორე ზარის დაკვრაზე ყველანი ბაქანზე ჩამოეშენენ და სარკმელზე გადმოყუდებულ გაგის სათითაოდ ხელს ართმევენენ, უკანასკნელად ეშვიდობებოდნენ. მატარებელი დაიძრა. ხელცახოცის ქნევით ადგილიდან არ დაძრულან, ვიდრე გაგი სულ მთლად თვალს არ მიეფარა.

— წავიდეთ...

სიტკვა მასწავლებელმა. ყველანი გამობრუნდნენ, თითქოს გულიდან რაღაც მოსწყდათ.

— რა იშვიათი უმაწვილია... უსათუოდ უნდა ვინახულოთ ამ ზაფხულს... ოპ, რომ იცოდეთ, რა კარგი ქვეყანაა, სადაც ეგ ცხოვრობს!

მოსწავლენი ყურადღებით ისმენდნენ მასწავლებლის მიერ სამხედრო გზისა, ანანურისა და ფასანაურის მიდამოების აღწერილობას.

— ხომ, მასწავლებელო, ექსკურსიას მოვაწყობთ, არა!..

— ვნახოთ ვნახოთ, მე კი შტაკიცედ გადაწყვეტილი მაქვს...

VI

გაგი სოფლად ერთ კვირეზე მთლად გამოკეთდა. ჩაცვიფრული თვალები კვლავ გაუბრწყინდა. ყვითელი ლოყები შეუწითლდა და ამოეფსო. ქლექის ბურუსით შენადგლიანებულ სახეზე სიცოცხლის წყარო აუჩუხჩუხდა. მუდმივ ყვავილებში დაბტოდა წიგნით ხელში. ჩამოჯდებოდა რომელიმე კორდის ძირს და მოჰყვებოდა ოცნებას თავის მეგობრებზე, მასწავლებელზე, რომლებთანაც ხანმოკლედ იცხოვრა, მაგრამ სიცოცხლის ძაფით გაინასკვა მათ ცხოვრებასთან. განსაკუთრებით უყვარდა ის ადგილი, სადაც შავი და

თეთრი არაგვი, ეს ორი გაშმაგებული მდინარე, ერთმანეთს ეხეთქებიან და ბოლოს მჭკფურად, თავისებური დაუსრულებელი გმირული სიმღერით მიყიყინებენ ქვემოდ გაშლილ ქალაკთა წისალეკად. არა ნაკლებ უყვარდა ჩაბრუნის ცქრილი ტალღები, მის კიდებზე ხტომა, სრიალა კალმახთა თამაშის ყურება, ხეობის სათავეზე მოქცევა, საიდანაც ამაყად დაჰყურებდა ველურ კლდეებიდან გამოფრენილ ამაყ არწივთა მზისკენ სრბოლას.

— აჰ, რომ აქ იყენენ, — გაიფიქრებდა გავი მასწავლებელზე და ამხანაგებზე: — რა იქნებოდა, სასწავლებელი რომ აქ აეშენებინათ და ყველანი აქ ყოფილიყვნენ.

ერთხელ წერილიც კი მისწერა მასწავლებელს: „მასწავლებლო, აგერ ზაფხულიც დადგება. გელით. ეინვალის ტყეში აუარებელი ირმები დაჰქრიან. მამამ სთქვა, ამდენი ჯერ არ გვინახავსო. მამა მონადირეა: წაგიყვანთ. კარგი რამ არის ირმებზე ნადირობა“.

კიდევ ბევრი რამ მისწერა. შემდეგ ისევ ტკბილს ფიქრებში გაერთო. მუხლებზე გადაშლილ წიგნზე ორთავე ხელები დაეწყო, სივრცისკენ თვალები ოდნავ მილულავით მიეშტერებინა და ბუმბერაზ მთათა სიდიადით ზმანების ვარდად მოქსოვილი ნეტარების ჰიმნად ჰგალობდა:

„ბარად რომ მომცეთ სამდადრე, ქონება უთვალავია,
სასხლე ოქროს ტახტითა, ჯარა და ზღვაზე ნაჲა,
არა ვინდამო ეგენი, არ მოკვდეს ჩუმი თავია!“

რუხი ნისლი ამასობაში მწვერვალებს ჩადრად ეხვეოდა. დაწვერილი მზე პირბადე — შეხვეული ემალებოდა თვალიდან. ახლა გაახსენდებოდა თავი, მეგობრები და სივრცეში ნისლის გასაკვეთად მკვეთრ თვალთ გაჰხედავდა, თითქოს მათს გამოჩენას ელისო, თითქოს ქულა-ქულა ვარდად შეღებვილ



ღრუბლებში მათი ლანდები შეამჩნიაო, სიხარულით წამოხტებოდა, გადაზიდული თითქოს მისაგებებლად ხელს ააპყრობდა, მაგრამ მაცდურ ჩვენებას მალე ლაზღანდარა ნიაფი გაუფანტავდა, ნისლი გადიყრებოდა და ისიც ნაღვლიანად ამოიკვნესებდა:

— მაინც, ნეტავი როდის მოვლენ?

ფეხ-მარდად მთის კალთებზე ეშვებოდა, ღრუბელთა ზღუდეს ზღაპრულ გმირივით მოარღვევდა, ათასში ერთხელ მაშინ თუ შეჩერდებოდა, როდესაც მის ფეხის ხმით დამურთხალი ქურციკი ყურებსა სცქვებდა და, ელვასავით მოსხლეტილი, ნაპრალებს თავზე ევლებოდა...

დ. კახრაძე





ზამთარი მთებში



ფაშატორდა... აცივდა... ხშირია დღე ბნელი,
 ზეცას მკერდს უმძიმებს ყომრალი ღრუბელი;
 სამხრეთს გაემგზავრა მწკრივად წეროები,
 ღმუიან და ძრწიან მთებში მგლის ხროები...
 სუსხავს, ჰყინავს... ქარი უიშველ ტყეს აკენებს,
 დამზრალ ფოთლებს ხვეტს და მღერის ზამთრის ლექსებს;

წამობარდნის მშრალად, ცა თეთრ ცრემლებს აფრქვევს,
 არემარეს უცბად თეთრ საბანში გაჰხვევს;
 ზღაპრულ აჩრდილებად ჰმოსაეს თოვლი ხეებს,
 ჩუმ ტბის მკერდზე ყინვა ქარგავს თეთრს სახეებს;
 თოვლში ჩაფუმფლული არ მოსჩანს კორდები,
 ჩირგვებს გამოუსხამს თეთრ-თეთრი ვარდები;
 ჩანჩქრებს დასდებიათ ყინვის ბორკილები,
 ხევ-ხუევი სდუმან, თოვლით ავსილები;
 ქობს ამშვენებს თოვლის სახურავი სქელი,
 სახურავს ჰკიდია ლოლუები გრძელი...
 ხან სიჩუმე მეფობს, არარა ირხვეა,
 აქ-იქ ბუხრის მილებს კვამლი თავს ეხვევა...

ბარდნის მშრალად, ხეებს მხრები უმძიმდება,
 ზოგი წაიხრება, ზოგი გადატყდება,
 ზოგი ტოტს ააქნევს, უცებ შეირხვეა,
 ყრუ-გუგუნ გრიალით თოვლი ძირს იფრქვევა.
 ფრინველებიც სდუმან, დაღვრემილა ყველა,
 სუროს არ შორდება შაში ყელ-წითელა;
 ყივყივით ქექავენ ნაგავს ბელურები,
 ქათმებს სიცივისგან დაუშვიათ მხრები,
 კანტი-კუნტად, ზანტად ჰყეფენ სულ ძაღლები,
 სერზე გადმომდგარი გადმოდმუის მგლები.

ხან ასტყდება ქარი, ბნელდება დღის შუქი,
 ჰაერს დააბნელებს ბორიო და ბუქი.
 ხევ-ხუევით მომწყდარი ისმის ყრუ ხრიალი,
 ვერაფერს გაარჩევს გარედ კაცის თვალი.
 ეშინიათ, ქობებს ვერაფერ შორდება,
 შესაზარი ქარი სანამ არ ჩადგება.
 მაშინ არსად არ სჩანს არც სახლი, გომური,

მუშებს ფეხზე აკრავს მაგრათ თხილამური,
გაპყავთ ყველგან გზები, შეშას ხერხვენ, სკრიან,
სახურავეებიდან თოვლს ნიჩბებით ჰყრიან,
საბძლიდან ბზე მოაჭეთ, საქონლებს უყრიან,
თან თოვლიან ზამთარს გულით უმადლიან,
უყვართ მათ ზამთარი მკაცრი, თოვლიანი,
სწამთ რომ წელი მოსდევს მას მოსაველიანი.

ი. სიხარულიძე





შავ ტყუანეტას შვილობილი

(შემდეგი *)

XXX

Madame ეინსვორტმა მიიღო წერილი
ქალაქლებით.



ვილიბეს გაპარვის შემდეგ უკვე ერთი თვე გავიდა. ქ. ეინსვორტი ამბის უკოდინარობის გამო უზომო მწუხარებას მისცემოდა და თავს უბედურად გრძნობდა. არა ერთი წერილი მიუღია ბავშვის საძებრად გაგზავნილი კაცებისაგან და არა ერთი პასუხი მიუწერია, მაგრამ ყველა ამას უნაყოფოდ ჩაუვლია, რადგან საძებარმა კაცმა იცოდა, რომ ლილიბელი პირველად ნიუიორკიდან მოვიდა, იფიქრა:—აღბად ახლაც ფილიბე და ის ოკეანეს რომელსაშენ დიდ გემზე დაიშალნენ და ახლა ახალ-ორღეანში იქნებიანო, მაგრამ შეკითხვაზე ყველა გემების უფროსებმა უპასუხეს, რომ მათი გემით ბავშვები არ წასულან და ახალ-ორღეანის პოლიციის ცნობებმაც დაარწმუნა, რომ ბავშვებს ზღვით არ უმოგზაურიათ და ჯერ სამშობლოში არ დაბრუნებულან.

Madame ეინსვორტი დარწმუნებული იყო, რომ გაქცეულები ნიუიორკში არიან და გულში კიდევაც ეშინოდა ბავშვების დაბრუნებისა. ყველაზე უფრო კი იმას ეშინოდა, რომ

*) იხილე 1917 წ. „ნაკადული“-ს №№ 10—12.

ბავშვს ყველაფერს აბატებენ და ისევ მიიღებენ. მაგრამ გადიოდა დღეები და კვირები და ბავშვი არ სჩანდა. ის თან-და-თან შშვიდდებოდა. მხოლოდ თავის რძალზე მოსდიოდა გული, რომ ამ უკანასკნელმა ამდენი ხმაურობა ასტეხა იმისთანა საქმეზე, რომელიც, მისი აზრით, დიდ ბედნიერებად უნდა ჩაეთვალა. იმათ მოშორდა შვილობილი. ბავშვი თვითონ გაიპარა: ხომ არავის გაუძევებია; მაშასადამე პასუხის გებაც იმათ არ ეკუთვნის. სრულებით ზედმეტია ახლა მისი ძებნა და დაბრუნება! რომ ნახონ ახლა და დააბრუნონ, ვინ არის თავდები, რომ ზელმეორედ არ გაიქცევა და ისევ საძებნელი არ გახდება. ექვს გარეშეა: ბავშვს მაწანწალას ხასიათი აქვს; ის წამოიზარდა, თავისინება გახდა.

მიუხედავად ამგვარი მსჯელობისა, ბებერ ქალბატონს ზოგჯერ სინილისი ჰქენჯნიდა. ხან წარმოუდგებოდა ბავშვის მიმზიდველი სახე, ხან მოაგონდებოდა ბავშვის გადამდები, მხიარული სიცილი და მისი მშვენიერი მიხერა-მოხერა. ბავშვის ზოგი უმნიშვნელო ეშმაკობის მოგონება ახლაც დიმილსა და ოხერას ჰგვრიდა. მოაგონდა ის დღე, როდესაც ბავშვი ისე თავგამოდებით იცავდა მამა გოზეფის „შვილებს“, მოაგონდა მისი გულის სიღრმემდი ჩამწდომი სიტყვები, რომლებმაც მაშინ ისე ააღელვეს და დიდი ხნის მიყუჩებული ჯავრი გაუღვიძა. ამასთანავე უკანასკნელ დროს ბავშვი კარგად არ იყო; ზოგჯერ შეუმჩნევეია მისი ცეცხლივით ანთებული ლოყები და თვალების არა-ბუნებრივი ბრწყინვა. შეიძლება სიცივემ და უქმელობამ ბოლო მოუღეს და მისი პატარა ტანი სადმე ღარიბულ საფლავში ასვენია! ამ ბოლო დროს ამგვარი აზრები ხშირად ეწვეოდა ხოლმე Madame ეინსვორტს.

ერთ დილას, წერილების განხილვის დროს, მისი ყურადღება ერთმა დიდმა, უცნობი ხელით ნაწერმა უცნაურმა წერილმა მიიბჸრო.

ხელეები უნებლიედ აუანკალდა, როცა უშველებელ ბეკედს ხსნიდა. პირველად კონვერტიდან გამოვარდა მის სახელზე მოწერილი და მისთვის ძალიან კარგად ნაცნობი წერილი—მისი მორჩილი შვილის, მისი ფილიპესი, რომელიც აგერ სრული ათი წელიწადია თავის თავზე არაფერს არ იტყობინებდა. ეს წერილი თითქოს საფლავიდან მოსულ ხმას წაგავდა. ატირებული სახით გახსნა მან კონვერტი და წაიკითხა შვილის წერილი, რომლითაც ის ცოლას შერთვას იტყობინებდა და მთელი თავისი არსებით ავედრებდა ცოლისა და შვილისათვის ეზრუნა

რატომ უშალავდნენ აქამდის ამ წერილს? ან ვინ გაბედა მისი დაბალვა? აღშფოთების გრძნობა მის გულში მწუხარებას და განცვიფრებას შეუერთდა. ერთი მეორეზე ხსნიდა და კითხულობდა შვილის წერილებს საყვარელი ქალისადმი, მაშა ჟოზეფის განმარტებას და ბოლოს ტუანეტას გულ-აბდილ აღსარებას.

და აი მისი თვალის წინ ორი ახალგაზდა ადამიანის ცხოვრების ისტორია გადაიშალა; იმათი სიხარული, იმათი იმედები, მოლოდინი და მწუხარება, ასე ტრაგიკულად დაბოლოებული. დედის გაუგებლად შვილს სიკვდილამდე ერთი წლით ადრე ცოლი უთხოვია! შვილის დაღუპვის ამბის მოგონებამ ხელახლა საშინელი ცეცხლი აანთო მის გულში. ის მოკვდა სიცოცხლის და სიყვარულის გაფურჩქვნის დროს და ახალგაზდა ცოლიც თან გაჰყვა მას. მაგრამ ბავშვი, სად არის ბავშვი? აქ ფილიპეს ბავშვზეა ლაპარაკი. მის შვილიშვილზე, ეინსვორტების უფროს მემკვიდრეზე. რატომ უშალავდნენ მას ამ ამბავს ამდენ ხანს? ვინ არის დამნაშავე? და რატომ მხოლოდ ახლა გამოუგზავნეს ეს წერილები? მას აზროვნება დაეჩრდილა. ერთხელ კიდევ გულ-დასმით და ნელა გადაიკითხა მან მაშა ჟოზეფის და ტუანეტას წერილები და სინამდვილე ნათლად გამოიხატა მის თვალ წინ: ტუანეტას ფილიპე—ის

ბავშვია, რომელიც მისმა შვილმა იშვილა, პატარა შვილობილი, მაწანწალა, მისგან შეტულეებული და უარყოფილი—მისი შვილის-შვილი!—სისხლი, რომელიც ბავშვის ძარღვებში ჰფეთქდა, მისი სისხლი იყო. ის იყო მისი მახლობელი აღმამიანი, მან კი ის დასაღუბად გასწირა!

ეს იყო საშინელი წამი. უმწეო და სუსტი იყო იგი თავის მწუხარებაში, სასოწარკვეთილების კივილი აღმოხდა გულიდან Madame ვინსვორტს. იგი სავარძელში სლუკუნით ჩაჯდა. ხმაურობაზე მისი რძალი შემოვიდა.



ხმაურობაზე მისი რძალი შემოვიდა.

— რა იყო, რა მოხდა? — ეკრთებოდა თავზარდაცემული ქ-ნი ვინსვორტი.

იმას ბებერი ქალბატონი მტირალი არას დროს არ ენახა და მისი ცრემლები დანახვამ გული მოუკლა.

— ლაურა, ლაურა! მე არას დროს არ ვაპატიებ მაგას ჩემ თავს!— წამოიძახა Madame ეინსვორტმა, რა იხილა თანაგრძნობით აღსავსე მისი რძლის გაფითრებული სახე:— როგორ მოვიქცე, როგორ მოვინახო ის? ის ბიჭი, ის ბავშვი, რომელიც მე სახლიდან გავაგდე— ფილიპეს შვილია, შვილი ჩემი საბრალო ფილიპესი!..

— რა? ვინა?— შიშით გააწყვეტინა რძალმა.

მას მოეჩვენა, თითქოს დედამთილი უეცრად გავიქცა.

მაგრამ Madame ეინსვორტს არ შეუნიშნავს არც რძლის გაკვირვება და არც მისი შიში.

— ოჰ! რა საშინლად დავისაჯე, — შეშლილივით ამბობდა ის. — აი, ყველა ქალაღლები, ყველა წერილები! გადახედეთ, გადაიკითხეთ: ისინი ყველაფერს აგისხნიან; ახლა ყველაფერი დღესავით ნათელია. მე არ უჯეროდი გულის თქმას. მე მიზიდავდა ის ბავშვი! ვებრძობდი მის სიყვარულს! ძველი, უგვაწო ცრუმორწმუნეობა შეუფლა, — მე უფრო გულკეთილი უნდა ვყოფილიყავი მის მიმართ! ოჰ, მე მაშინაც კი ვგრძნობდი ამას, როდესაც სასტიკად ვეპყრობოდი მას; მაშინ, როდესაც ის ისეთი მწუხარებით მევედრებოდა თავისი პატარა საყვარელ თავგების გულისათვის. იგივე ხმა, იგივე სახის გამომეტყველება იყო, როგორიც ჩემ ფილიპეს ჰქონდა ხოლმე, როდესაც რაიმე ეშმაკობისათვის ვსჯიდი.

ამ დროს ქალბატონი ეინსვორტი წერილებს და ქალაღლებს ათვალთვლებდა.

— დიახ, — სთქვა მან ბოლოს, — ეს მართალი უნდა იყოს. ფილიპე აღბად კაპიტანი ეინსვორტის შვილია. ედუარდმა ეს ნახვისათანავე შენიშნა. მის ძმასთან ბავშვის მზგავსებამ გამოიწვია ბავშვისადმი სიყვარულიც; მან ეს იმ თავითვე მიტხრა; ამასთანავე ის ჩვენ ბავშვს ისე ჰგავს. მე ყოველთვის მაკვირვებდა — თქვენ როგორ ვერ ხედავდით ამ მზგავსებას...

და ქალბატონმა ეინსვორტმა თვალეზე მომდგარი ცრემლები მოიწმინდა.—საქმე იმაშია, რა გზას უნდა დავადგეთ, რომ ბავშვი ვიპოვნოთ.

ამ სიტყვებით მან დედამთილს შეხედა, რომელიც უნაკოფორდ ცდილობდა თავისი მწუხარება დაეძლია.

— ახლავე დაეიბარებ ედუარდს. იმან უნდა მიატოვოს ყველა საქმეები და დაუყონებლივ დაბრუნდეს,—გადაწყვეტით წარმოსთქვა Madame ეინსვორტმა. განა შეიძლება ფულებზე ფიქრი, როდესაც ფილიპეს შვილი დაეხეტება საღდაც უფულოდ და უსმელ-უჭმელი? სანამ მე წერილს დავსწერდე, შენ მაძებარი პოლიცია დაიბარე. უნდა ფულები მივსცეთ, უნდა ყოველი ზომები მივიღოთ. ბავშვი უთუოდ უნდა მოვნახოთ, სანამ ისევე არ ვიხილავ ბავშვს, ერთ წუთსაც ვერ მოვისვენებ!

XXXI

ბავშვები გზას განაგრძობენ.

ჩვენი პატარა მოგზაურები ვაშინგტონში დიდხანს არ დარჩენილან. ლილიბელი ისე ხარბად ეწაფებოდა ტკბილეულობას და სხვა-და-სხვა სანახაობას, რომ ბავშვების საფულე ქისა მალე დაიცალა. მოლოდინის წინააღმდეგ, თეთრი თავუნების წარმოდგენამ ამ ქისას ვერაფერი შეჰმატა. ფილიპეს ძლიერ ეშინოდა, რომ თეთრ-თავგვებიან გალიის საშუალებით მათი კვალი არავის აღმოეჩინა, ამიტომ გალია ყოველთვის შეხვეული დაჰქონდა და ძლიერ იშვიათად თუ ვისმეს აჩვენებდა თავგებს. მან გადასწყვიტა დიდ ქალაქებში არ გაიაროს, რადგანაც ამ ქალაქებში ბევრი რამაა ლილიბელის მიმზიდველი, და სოფელ-სოფელ სიარული ამჯობინა.

ამ რიგად ისინი ისევე გზას გაუდგნენ, თუმც ზოგჯერ გზა ებნეოდათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მაინც თავის მიზანს ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ. იშვიათად უხდებოდათ რკინის გზით, ან ეტლით მოგზაურობა, მაგრამ სასმელ-

საქმელი და ლამის გასათევი კი ყოველთვის ჰქონდათ კეთილ აღმზიანთა წყალობით. ლილიბელის პატარა კალათში ყოველთვის იყო ცოტა რამ, რითაც შიმშილის მოკვლა შეიძლებოდა. როდესაც რომელიმე კეთილი დიასახლისი ერთ ჯერზე საყოფის მეტს საქმელს მისცემდა, ამ ზედმეტს ბავშვები კალათში ინახავდნენ შეპღევისათვის.

რამდენადაც უახლოვდებოდნენ ისინი სამხრეთს, იმდენად ჰაერი თბებოდა და ბავშვები სიცივისაგან ნაკლებ იტანჯებოდნენ. მარტის პირველ რიცხვებშივე ლილიბელი თავის ფეხსაცმელებს გამოეთხოვა, ამან მაინცა და მაინც არ დაალონა ის, რადგანაც ამ ხნის განმავლობაში სიარულისაგან ფეხის ტყავი ისე გაუსქელდა, რომ ხარისას დაემზგავსა. ფილიპე კი, რომელიც ყოველთვის რბილ ფეხსაცმელს ატარებდა და ახლა ფეხშიშველა დარჩა, უხეირო გზაზე სიარულის გამო დასიებულ-დახეოქილ ფეხებში აუტანელ ტკივილებს გრძნობდა. ზოგჯერ ტკივილებისაგან ნაბიჯის გადადგმას ვეღარ ახერხებდა და სასოწარკვეთილებით იქვე ჯდებოდა. ამგვარ შემთხვევებში ლილიბელი ამხნევებდა მას, თითქოს ის კვამლის ხედვის ან მატარებლის ხმა ესმის, მაშასადამე საღვურიც ახლოს იქნება, სადაც შესაძლებელია მოსვენება და საქმლის შოვნა. ფილიპეც მთლად გაფითრებული და ტუჩებ-მოკუმული დგებოდა და ისევ მიდიოდა. ზოგჯერ ფილიპეს ძალა სრულებით ელევოდა; მაშინ ლილიბელი აიკიდებდა ზურგზე და პატარა ბავშვისთვის განსაცვიფრებელ სიმამაცით და დაუზარებლად მიჰქონდა.

ფილიპე ძლიერ გახდა და ამჩატდა, ასე გეგონებოდა, თითქოს დღითი-დღე ღნებო. ერთხელ მან კიდევ ეხუმრა ლილიბელს, რომ მას ტანზე ტანისამოსის გარდა აღარაფერი დარჩენია და ისიც ჩემსავით ღნებო. აქ შეხეული, იქ გამოცვეთილი, ლობებზე გადასვლის დროს ჩამოხეული ნაფლეთები აშკარად ხდიდა, რომ მისი სამოსელიც ჩქარა ლილიბელის მორთულობას დაემზგავსებოდა. Madame ეინსვორტს ამ

ექვსი თვის მგზავრობის შემდეგ რომ ენახა ბავშვი, უფრო დარწმუნდებოდა, რომ ბავშვი მაწანწალაა.

ყველაზე ნაკლებ მგზავრობაში მამა ჟოზეფის შვილები იტანჯებოდნენ: იმათ აკმევდნენ კარგად, არ სციოდათ, მათთვის სიყვარულით ზრუნავდნენ და მასთან თავისუფალ ჰაერში მოგზაურობა და ბრწყინვალე მზის ხილვა უფრო მოსწონდათ, ვინემ მუდამ დაკეტილ ოთახში მოწყენით ყოფნა. პატარა მხეცები თავს მზიარულად გრძობდნენ და დიდი სიამოვნებით აკეთებდნენ ყველა თავის ოინებს ბავშვების თანხის გასადიდებლად. წვრილ გროშებს სიხარულით აგროვებდა წარმოდგენის შემდეგ ლილიბელი თავის გაცვეთილ ქუდში. რაც უფრო უახლოვდებოდნენ ისინი სახრეთს, უფრო ხშირად მართავდნენ წარმოდგენას; ამიტომ მათი ქისა იშვითად ცარიელდებოდა, მაგრამ ლილიბელს სხვა-და-სხვა ტკიბილედობა უყვარდა და სასარგებლო ნივთები ეჯავრებოდა, ამიტომ იმათ ხშირად აუცილებელი საგნები აკლდათ. მიუხედავად ყველა ამისა ისინი ცრემლ-ნარევე სიხარულით მიიციდნენ. იყო დღეები, როცა ზომაზე მეტად მაძლარნი იყვნენ და შემდეგ კი რამდენიმე დღე ნახევრად მშვიდნი რჩებოდნენ. ზოგჯერ ღამის გათევა გარედ უხდებოდათ, ზოგჯერ ვინმე სტუმართ-მოყვარე აღამიანის სახლში.

ერთხელ ღამემ ტენესის შტატის მთებში მოუსწრო. თუმცა აპრილი იდგა, მთებში საგრძნობლად ციოდა. ვარსკვლავიან მოწმენდილ ცის ქვეშ ყინვა იყო. ყინვისაგან გამხმარი ფიჩხი და ფოთლები ფეხის დადგმაზე ხმაურობდნენ. ბავშვები ანგარიშ მიუცემლად მიდიოდნენ აღმართის ბილიკით. ისინი დარწმუნებული იყვნენ—თუ გზას არ გადასცდებოდნენ, იგი სადმე მიიყვანდა. ბოლოს გზაც გათავდა, და რაკი აღარ იცოდნენ, საით წავიდნენ, სიცივისა და შიმშილისაგან სრულებით ძალა-გამოლეულნი ბნელაში დაჯდნენ. მათდა საუბედუროდ ლილიბელის კალათიც ცარიელი იყო.

ოცა შესვენების შემდეგ ბავშვებმა ერთი ხის ქვეშ შეა-

გროვეს ფოთლები, შუაზე გალია დასდგეს და დაწვნენ. ის იყო ჩასთვლიმეს, რომ ბუჩქებში ვიღასიც ფეხის ხმა და წყნარი დინჯი სულის თქმა გაიგონეს; რალაც ცოცხალი არსება გაჩნდა იმათ გვერდით.

ლილიბელი ზეზე წამოვარდა. მისი თვალები შიშისაგან ცეცხლს აფრქვევდნენ.

— დათვია, დათვია!—დაიძახა მან და ხეზე შევარდა.—ხეზე ადი ჩქარა, ხეზე,—უყვიროდა ის ფილიბეს,—თორემ დათვი შეგკამს.

— არ შემძლია: გალიით ხეზე ასვლა შეუძლებელია. აქ კი გალიას არაფრის გულისათვის არ დაეტოვებ,—გადაწყვეტილი კილოთი სთქვა ფილიბემ.

— შექველად დათვია: მე კარგად გავიგონე მისი ბურღლული,—არწმუნებდა ლილიბელი.

— არაფერია,—სთქვა ფილიბემ,—ასანთი მაქვს და ახლავე შევიტყობ ვინ არის

ამ დროს უშველებელი შავი ლანდი გამოჩნდა და ფილიბეს თავს ზემოდ თბილი სულის თქმა გაისმა. მან ასანთი გააქნია და როცა ცეცხლმა იქაურობა გაანათა, სიხარულით წამოიძახა:

— ძროხა ყოფილა, ძროხა! ჩამოდი, არ შეგკამს, ნუ გეშინია!

— ცეცხლი გააჩაღე,—სთქვა ლილიბელმა და ხიდან წელა ჩამოვიდა.—სინათლეში მოვწველი ძროხას. მე ვიცი ძროხას როგორ წველიან.

მაგრამ ფილიბეს მეტი ასანთი არა ჰქონდა, ამიტომ გადასწყვიტეს მოწველა დილისათვის გადაედგათ. ძროხა იმათ ახლო დაწვა. ამ მეზობლობამ ფილიბე გაამხნევა და მას ჩქარა დაეძინებოდა, ლილიბელს რომ სიცივისაგან კრუსუნი არ დაეწყო.

— სულ გავიყინე, სიცივისაგან სული მძვრება,—სთქვა მან.

— ჰა, წაიღე ჩემი პალტო, — შესთავაზა ფილიპემ, — მე ძლიერ არ მცივა.

— არა, არა, ოსტატო ფილიპე: ავიღ ხართ და თქვენც გცივათ. მე პალტოს არ გამოგართმევთ.

ალბად ლილიბელმა თავისი მსხვერპლის სიტკბოება იგრძნო, კრუსუნს თავი გაანება, ღრმად ჩაეფლო ფოთლებში და



ჩქარა მავრად ჩაეძინა. ფილიპემ პალტო გაიხადა, ფრთხილად ზანგს დაახურა და მზრუნველობით კალთები შემოაუკეცა. ხა-

ლათის ამარა ფილიბემ ორივე ხელები გალიას მოკბვია და ლილიბელის გვერდით მკრთალ, მოუსვენარ ძილს მიეცა. გათენებისას თითქმის მთლად გაყინულ ფილიბეს გამოეღვიძა. ხელები და ფეხები დაკბუყებოდა, თავსბრუ ესხმოდა და ერთ ხანს ადგომა ვერ შესძლო. ბოლოს დიდის გაქირვებით როგორც იყო ადგა.

ძროხა კიდევ იქ იწვა. ლილიბელმა მოწველა და ბავშვებმა რძე იქვე შესვეს.

ლილიბელმა ერთი კიდევ მოწველა გზაში წასაღებად. თბილმა რძემ ფილიბეს ღონე მოუმატა და მზად იყო გზა უფრო მზიარულად განეგრძო; ამ დროს მან გალიაში პატარა თოვლია გაფიჩხებული ნახა. საბრალო ცხოველი სხვებზე უფრო ნაზი იყო და სიცივეს ვერ გაუძლო. ეს იყო პირველი უბედურობა „შვილების“ თავზე და ფილიბე მწარედ გლოგობდა საბრალო პაწაწკინა კმნილებას. ბავშვმა თავი აქ დასატოვებლად ვერ გაიმეტა და ხალათის ჯიბეში ჩაიდო იმ იმედით— შეიძლება სითბომ გააცოცხლოსო. შემდეგ დანარჩენი „შვილები“ თბილად შეახვიეს და დაღვრემილნი გზას გაუდგნენ.

XXXII

სურნელოვანი ზეთისხილი აყვავდება

ზეთისხილი და იასამანი უკვე აყვავებულიყო, როდესაც ჩვენმა პატარა მოგზაურებმა თავის მიზანს მიაღწიეს. ორი თვე მოგზაურობაში გაატარეს და ფილიბეს ეგონა, რომ დღითი დღე სიძნელე და მწუხარება მატულობდა, რადგანაც ის დღითი-დღე სუსტდებოდა.

სიცივემ, შიმშილმა და სხვა დაბრკოლებამ ისე გახადა და გააფითრა, რომ მნახველი უნებლიედ იფიქრებდა— ბავშვის დღე დათვლილიაო. მგზავრობის უკანასკნელ ხანებში მას არ შეეძლო რამდენიმე ნაბიჯის გავლა დაუსვენებლად. ის ჩოოდა

დაღლილობას, უძილობას; მადა ხომ სუბთლად დაეკარგა. გულშემატკივარი გლეხები რომ არ ყოფილიყვნენ, რომელნიც ურემზე ალაგს უთმობდნენ და სხვა-და-სხვა საქონლის მატარებლის კანდუქტორები, რომელთაც ბავშვები სადგურიდან-სადგურზე გადაჰყავდათ, ფილიპე დიდი ხანია წაიქცეოდა და მისი ღონე-მიხილილი პატარა გვამი სადმე უცნობ საფლავში დარჩებოდა. თუმცა იგი დაუძლიურდა, სულიერი ძალა მაინც არ სტოვებდა; ის ახლაც იყო აღსავეს იმედით, რწმენით და ისევე მზიარული, როგორც მგზავრობის პირველ დღეებში. ზოგჯერ ზედმეტ ენერგიასაც იჩენდა.

— ავად კი არა ვარ, — მხნელ ამბობდა ის, — მე დავიღალე და გზა მაინც უნდა განვაგრძოთ.

სანამ ძალა შესწევდა, ჩქარა მიიწევდა წინ, მაგრამ ხშირად ძალა ელეოდა და გულ-წასულივით მიწაზე ეცემოდა.

ამგვარ მდგომარეობაში ლილიბელი ყოველ ღონეს ხმარობდა ფილიპეს გასამზნეებლად, ხან ეუზნებოდა — კვამლი დაეინახეო, ხან თითქო ჯოგის ზარის ხმა ესმოდა. თუ ყველაფერი ეს ფილიპეზე არ მოქმედებდა და ის უსიტყვოდ იწვა, ღონიერი ზანგი ბიჭი აიყვანდა ხელში ამ მჩატე ტვირთს და მიჰქონდა, სანამ არ მიიყვანდა ისეთ ალაგას, სადაც შველის იმედი იყო.

ასე მიდიოდნენ ისინი, სანამ ერთ საღამოს აღთქმის ქვეყანასა და მათ შუა მდებარე ტბის ნაპირს არ მიადგნენ.

მაისის თვე იდგა, უზარმაზარი, რგვალი, ვერცხლივით ბრწყინვალე მთვარე ბავშვებს თავის თეთრ შუქსა ჰფენდა. ისინი ამ დროს ფიქვის ტყეში იყვნენ. ნიაფი ჰქროდა და ჰაერი კვარის სუნით იყო გაჟღენთილი. მიწა ისე უხვად იყო მოფენილი ფიქვის ქაცვითა, ისეთი რბილი და ისეთი ნაზი იყო, რომ საუკეთესო მდიდრულ ლოგინს მოგავგონებდა.

მოგზაურობით დაღლილი ფილიპე თავის სამშობლოს მიწაზე გაიშლართა მადლობის ნიშნად, რომ მგზავრობა გათავებულია. ფოთლის შრიალი ტბის ხმაურობად ეჩვენებოდა;

მას წარმოუდგა, თითქოს ისინი უკვე ნაპირზე არიან და მხოლოდ ბრწყინვალე ტბაზე გადასვლა დარჩენიათ, მაშინ როდესაც ტბა მთვარის სინათლეზე ჯერ კიდევ რამდენიმე მილის სიშორეზე მოსჩანდა. ეს ღამე ფილიპემ განსაკუთრებით ცუდად გაატარა, სახე სიციხისაგან ცეცხლივით ასწითლებოდა, თვალები გასდიდებოდნენ და უბრწყინავდნენ; ლილიბელი იჯდა მის გვერდით და ჩუმად ქვითინებდა.

— რა გატირებს, — თითქოს სიზმარში იკითხა ფილიპემ. მას წარმოუდგა თითქოს ის ხეებს ზევით მთვარისაკენ მისცურავდა.

— მე იმიტომ ვტირი, რომ თქვენ ავად ხართ, ოსტატო ფილიპე, და რომ ჩვენ ვერ შევსძლებთ ახლა ტბაზე გადასვლას, როდესაც თითქმის მისული ვართ. წყალში ფეხდაფეხ ხომ ვერ გაველთ, ახალი ორღეანი კი გაღმავა.

— მართალია, — დაეთანხმა ფილიპე, — ჩვენ ვერ გადავალთ გაღმავა, მაგრამ შეგვიძლია აქ შევსდგეთ და დავისვენოთ. შეგვიძლია სულაც აქ დავჩრეთ.

— არა, არა, ჩვენი აქ დარჩენა არ შეიძლება, ოსტატო ფილიპე. ჩვენ უნდა უსათუოდ გაღმავა გავიდეთ, — მხნედ უპასუხა ლილიბელმა.

— ეს ჩემი დედილოს ბაღს ჰგავს, — სთქვა ფილიპემ.

მისი აზრები სადღაც შორს მიფრინავდნენ. ბოლოს მოუსვენარ ძილს მიეცა.

— აქედან ტბამდინ კარგა შორს არის, და ჩვენ კიდევ ტბაზე გადასვლა გვინდა, — გაიმეორა ლილიბელმა.

— სურნელოვანი ზეთისხილი აყვავდა; ვიგრძენ მისი და იასამანის სუნია.

— არა, ოსტატო ფილიპე, სურნელოვანი ზეთისხილის კი არა, ეს ფიქვის სუნია.

— მაშ წავიდეთ მთავრის ქუჩაზე, სანამ ზეთისხილი არ აყვავებულა.

— რას ამბობთ, ოსტატო ფილიპე? როგორ შეგვიძლია

მთავრის ქუჩით სიარული, როდესაც ჯერ ტბაზე არ გადავსულვართ.— შეშინებული ლილიბელი დაიხარა და ავადმყოფ ბავშვს თვალეზში დააქკერდა.

— ღმერთო ჩემო, სძინავს და ბოდავს, სიცხე აქვს და საშინლად ავად არის! როგორ გადავიყვანო ახლა ამ ტბაზე?

უცრად ლილიბელმა თავი მალღია აიღო და სმენად გადაიქცა. შემდეგ მიწაზე დაწვა და ყური დაადო. რასაკვირველია მატარებელია და შორს არ არის: ტბაზე გადადის. ოპ, გზის პირად რომ ვიყვით, ჩვენც გადავიყვანდა; უსათუოდ გადაიყვანდნენ თითქმის მომაკვდავ ავადმყოფ ბავშვს. სიცხე აქვს და აბოდებს... უსათუოდ გადაიყვანდნენ; უნდა გზამდის მივიყვანო; უნდა გავალვიძო.

— წავიდეთ, ოსტატო ფილიპე, ზურგზე მომეკიდეთ და წაგიყვან.

ფილიპე ხმას არ იღებდა. ის უგრძნობლად იწვა და არც ტკივილებს, არც სისუსტეს არ გრძნობდა. როდესაც ლილიბელმა თავი წამოუწია, ის ისევე უმწყოდ ფიქვის ქაცვის ბალიშზე დაეცა.

— სრულებითაც არ არის საჭირო მისი ვალვიძება. შემიძლია ბავშვივით ხელში დავიჭირო. თავგებსაც წავიღებ: ზურგში მოვიკიდებ; ფილიპეს კი ხელში ავიყვან.

ფიქვის ტყე მაინცა-და-მაინც ხშირი არ არის, ამიტომ იმისი გაქვრეტა ადვილია. ლილიბელმაც ცოტა გავლის შემდეგ რაღაც სინათლე დაინახა და ხელახლა მატარებლის ხმაურობა გაიგონა. ხმაზე მიხვდა საითკენ უნდა წასულიყო. ტვირთი, რამდენადაც შესაძლო იყო, უფრო მოხერხებულად ზურგზე მოიკიდა და შემდეგ, როგორც მძინარე ბავშვს, ფილიპეს სიყვარულით ხელები მოჰხვია და ტყის მაღალ, ხშირფოთლებიან ხეებისაკენ გაემართა.

ტვირთ-მძიმე პატარა ზანგი სულის მოსათქმელად ხშირად უნდა შეჩერებულიყო. ყოველ გაჩერებაზე ფრთხილად აწვენდა მიწაზე ფილიპეს და ისვენებდა, სანამ არ დაუბრუნ-

დებოდა ძალა და ისევ ბავშვით ხელში ნელნელა მიდიოდა თეთრი ბოძისაკენ, რომელიც, რამდენსაც უახლოვდებოდა, უფრო და უფრო გარკვევით ჩანდა.



მძიმე და ნელ სიარულში მთელი ღამე გავიდა და მხოლოდ გათენებისას ლილიბელმა სიხარულით დაინახა, რომ ტყე თავდება და სადგურიც აქვია. როცა ინათლა, ის უკვე სადგურის შკვებაე წყლის შადრევანთან იყო.

— ახლა კი დამშვიდებული ვარ, — ხარობდა ლილიბელი. — მატარებელს აქ გააჩერებენ ორთქლმავალისათვის წყლის წასადებად. საჭიროა მხოლოდ ოსტატი ფილიბე ახლოს მივიყვანო და მატარებელს დაუცადო.

ამ უკანასკნელი საქმის შესრულება, იმასთან შედარებით, რაც ლილიბელმა ღამე გამოსცადა, სათქმელადაც არ ღირდა,

ისეთი ადვილი იყო, და როდესაც ფილიპე ხანგრძლივი მძიმე ძილისაგან გამოერკვა, დაინახა, რომ იგი რბილ ბალახზე, შადრევანის ჩრდილში წევს და იქვე მიმჯდარი ლილიბელი გრილი წყლით პირს იბანს.

— აკი გეუბნებოდი რკინის გზა ახლოსაა-მეთქი, — უთხრა პატარა ზანგმა.

ფილიპე წამოდგა და გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა.

— სადა ვართ? უკვე ტბაზე გადავედით? — იკითხა ფილიპემ, რომელიც ჯერ კიდევ სავსებით გონს არ მოსულიყო და სისუსტისაგან ფეხზე ძლივს იდგა.

— არა, ჯერ არ გადავსულვართ, მაგრამ პირველ მატარებლითვე გადავალთ.

— როგორ გავჩნდი აქ? — ეკითხებოდა ფილიპე ლილიბელს. — მე დავიძინე და სრულებით არ მახსოვს, რომ ღამე მევლოს.

— თქვენ არც კი გაგიღვიძნიათ, ხელში აგიყვანეთ და ისე მოვედი აქ. — თავმოწონედ სთქვა ლილიბელმა.

— „შვილები“?

— „შვილები“ აქ არიან, — სთქვა სახე-გაბრწყინებულმა ლილიბელმა.

ფილიპემ გაიღიმა და კმაყოფილებით ისევ თვალი დახუჭა. რამოდენიმე წუთის შემდეგ მას ისევ ეძინა, ლილიბელი კი იქვე იჯდა. დიდხანს ეძინა ფილიპეს და შემდეგ ბევრად უფრო ცოცხლად გამოეღვიძა. სიცხემ უკლო, თავი აღარ სტკიოდა; მხოლოდ კიდევ დიდ სიცხეს გრძნობდა.

შუადღე ახლოვდებოდა და ლილიბელი ჯერ კიდევ მატარებელს ელოდებოდა, იმედს არა ჰკარგავდა, რომ მატარებელი მალე გამოჩნდებოდა.

— მე კიდევ მესმის მისი ხმა, კვამლსაც ვხედავო! — ამგვარი სიტყვებით მას უნდოდა ფილიპე გაემხნეებია, რომელიც ღიმილითა და იმედით აღსავსე თვალებით შეჰყურებდა.

ბოლოს როგორც იყო გაიგონეს შორიდან ხმაურობა,



შემდეგ მძიმე ფუხფუხი და ჩქარა გრძელი საქონლის მატარებელი გამოჩნდა. ეს ჩვენი პატარა მგზავრებისათვის უდიდესი მღელვარების წამი იყო. გაჩერდება მატარებელი წყლის მისაღებად, თუ გვერდს ჩაუვლის? ფილიპეს დაიფიწყდა თავისი სისუსტე და ზეზე წამოხტა. ლილიბელს არ შეეშინდა, ყოჩაღად ლიანდაგზე გაჩერდა, მემანქანეს თავის გაცვეთილ ქუდს უქნევდა. უზარმაზარი ვეშაპი ჩქარა უახლოვდებოდა, ცეცხლის-მფრქვევი თვალები შეანათა და ფუხფუხითა და მძიმე სულის თქმით თან-და-თან სიარულს უკლო.

— გაჩერდება, გაჩერდება! — ყვიროდა ლილიბელი, — იი, კიდევაც გაჩერდა!

მართლაც გრძელი მატარებელი მალე შედრევიანთან გაჩერდა. მსწრაფლ რამოდენიმე კაცი გადმოხტა ცეცხლის ვეშაპის წყურვილის მოსაკლავად.

როდესაც კონდუქტორმა პატარა ნაფლეთებში გამოწყობილი, შედრევიანთან მდგომი ლილიბელი დაინახა, სიცილი აუვარდა და დაიძახა:

— ხა, ხა, ხა, რა საფრთხობელია! საიდან გაჩნდი, და აქ რას აკეთებ? — შემდეგ შედრევიანის კედელზე მიყრდნობილი ფილიპე შენიშნა და მზურვალედ წარმოსთქვა: — იი მეორეც, თეთრკანიანია, და, როგორც სჩანს, ავადმყოფია.

ფილიპემ შეხედა და გაუღიმა: მისმა ნაზმა ალერსიანმა ლიმილმა კონდუქტორის გული მოხიზლა.

— თქვენ მატარებელს უცდით, არა? ტბაზე გადასვლა გინდათ?

— თუ ნებას მოგცემთ, — წარმოსთქვა აღელვებულმა ფილიპემ: — აივად ვარ და სიარული აღარ შემიძლია.

— რასაკვირველია აღარ შეგიძლია, — უპასუხა კონდუქტორმა და ბევრი ფრთხილად აიყვანა: — შენ ფეხზედაც ძლივს სდგებარ. შორიდან მოდიხარ?

— ჩატანუგიდან, — იცრუა ფილიპემ.

— რას ამბობი ჩატანუგიდან?—გასაკვირიც არ არის, რომ მარტო ტყავი და ძვალი შეგჩენია. წავიდეთ: მე გადაგიყვან.

— იმასაც?—ფილიპემ ლილიბელზე აჩვენა.

— პატარა საფრთხობელას? კარგი, მასაც შეუძლია წამოვიდეს. თქვენ ორვე კატის სიმძიმე ძლივს იქნებით. ვამიგონე, ბილ, — მიუბრუნდა ის მემანქანის თანაშემწეს: — ხომ არაფერი გაქვს ამ ბავშვებისათვის. ასე მგონია, რომ ამ ავადმყოფს ამ წუთში გული წაუვა. ნიძლევისა ვლებ, რომ მას მთელი კვირის განმავლობაში არაფერი უქამია. წარმოიდგინე— ჩატანუგიდან ფეხით მოსულა.

— მართლაც ეს მეტის-მეტად ძნელი მგზავრობაა ამ ძვალტყავა ბავშვისათვის. კარგი, მე საკმელს უშოვნი, — უპასუხა გულკეთილმა მემანქანეს თანაშემწემ და ბავშვს შეხედა. — შენ, პაწაწავ, შიმშილით კვლები?

— არა, მე არ მშია, გამაღლობთ, — ღიმილით უპასუხა ფილიპემ: — მე მწყურია.

— გწყურია? ძალიან კარგი: ახლავე მოგიმზადებ სასმელს.

თაროზე დადგმულ ქვაბიდან მან თასში შავი ყავა ჩაასხა, ჯიბიდან პატარა ბოთლი ამოიღო, იქიდანაც რამოდენიმე წვეთი თასში ჩაასხა, დაშაქრა და აურია.

— აი, ჩემო საყვარელო, დალიე და ძალა მოგემატება, — აღერსით სთქვა მან და თასი ფილიპეს გაუწოდა. — გემრიელიც არის და თან ძალის მომცემიც. ერთბაშად მორჩები და გამხიარულდები.

ფილიპემ ჩქარა გადაჰკრა ყავა და წამოწვა; ლილიბელი კი იქვე ახლოს იჯდა და იმავე მემანქანის თანაშემწის მოცემულ სუხარსა და ღორის ხორცს შეექცეოდა.

როცა მატარებელი მიუახლოვდა, ფილიპე ღია კარებში იცქირებოდა და უეცრად წამოიძახა:

— აქ ლატანია და კვიპაროსები ყოფილა. მე ვხედავ ჰაერში დაკიდულ ხავსს. ჩვენ ლუიზიანაში ვართ, არა?



— დიახ, ჩვენ საზღვარს გავსციდით; ახლა ტბასთან ახლოს ვართ და ორ საათს შემდეგ ახალ ორღევანში ვიქნებით.

ამ სიტყვების გაგონებაზე ფილიპეს ერთბაშად სახე გაუბრწყინდა. მან ჯანმრთელობა და ძალა იგრძნო, და მოუთმენლად ელოდა ტბა როდის გამოჩნდებოდა.

— ისე ახლოს არის, ისე ახლოს, — ჩუმად ეუბნებოდა ლილიბელს, — აი ტბაც. რამოდენაა, ლურჯი და რა მშვენიერია! ჩვენ თითქოს ზღვაზე მივცურავთ.

იმ დროს, როცა ფილიპე იცინოდა და ლაპარაკში იყო გართული, მატარებელი მშვენიერ და ბრწყინვალე ტბის ხილზე მისრიალებდა.

დათაიკო ანთაქე

(შემდეგი იქნება)





თამარ მეფის დრო

საქართველოს მდგომარეობა თამარ მეფის ტახტზე ასვლისას.
დავით აღმაშენებლის პოლიტიკა. მეფე და აზნაურები.
საგამგეო მოხელენი. მეფის უფლება.



ფხაზთა მეფის გონიერმა და ხშირად დაუნდობელმა პოლიტიკამ როგორც იყო საქართველო მე-XI საუკუნეში გააერთიანა. მართალია—ბაგრატ მეოთხეს ერთხელ კიდევ ჩამოშორდა ჰერეთ-კახეთი, მაგრამ დავით აღმაშენებელმა ორივე ხელახლა აიღო და თავის სამ-

ფლობელოს შეუერთა. საქართველოს გაერთიანებისა და მეფური უფლებების განმტკიცების დროს ატეხილი ბრძოლა, მეფეთა და დიდ აზნაურთა შორის სამეფო საგამგეო უფლებების გამო, დავით აღმაშენებლის დროსვე დამთავრდა მეფური უფლებების გამარჯვებით. დავით აღმაშენებელმა პირველმა შემოიღო დიდ აზნაურთა (წინად საქართველოში ისტორიის მიხედვით თავადი არ იხსენიება და წარჩინებულებად მოხსენებულნი არიან აზნაურები, დიდი—გვარიანი და მცირე) და დიდებულთა დატუქსევა და დროებით ციხეში ჩასმა. თუ ესეც არა შეგელოდა და ხშირად არა შეგელოდა კიდევ, მაშინ საუკეთესო სასჯელად ის სთვლიდა ექსორიასა.*) დავით აღმაშენებელმავე შემოიღო მუდმივი ჯარის ყოლა და ამისათვის მოიწვია ყივჩაღები, და თავმომწონე აზნაურები. მეფის ყივჩაღთა ჯარის შიშით იძულებულები იყვნენ უსიამოვნება გულში ჩაემაღათ და მეფეს დამორჩილებოდნენ. დავით აღმაშენებელის შემდგომ აზნაურები თან-და-თან გათამამდნენ და თამარის მამის, მეფე გიორგი III, სიკვდილის შემდეგ კლანტები გამოაჩინეს. არც დავით აღმაშენებელს და არც მერმინდელ მეფეებს დიდებულთა და მთავართა უფლებანი არსებითად არ შეუმცირებიათ. ისინი მხოლოდ აშორებდნენ სამეფოს საგამგეო საქმეს ამა თუ იმ არა-სასურველ მთავარს და მის მაგიერ უფრო საიმედო პირს აწესებდნენ. დავით აღმაშენებელმა მხოლოდ ის შემოიღო ახალი საქართველოს ისტორიაში, რომ სასურველ პირთა ამორჩევის დროს დაჰგმო ჩვეულებრივი ტრადიციის და მათ მხოლოდ დიდ-გვარიანებში არ ეძებდა. აღამიანს თუ ნიქი შესწევდა, უგვაროც რომ ყოფილიყო, მეფე დავითი მას ყურადღებას მიაქცევდა და დაწინაურებდა. მან პირველმა შემოიღო უგვარო აზნაურთა საგამგეო ადგილებზე დანიშნა, მაგრამ, სამწუხაროდ, ახალი ერისთვის შინაურ

*) ექსორია — სამეფოს ფარგლებიდან გაძევება.

საქმეებში არ ერეოდა და ის დამოუკიდებელ და სამეფო-მთავართა-გამგეობას მოწყვეტილი იყო.

დავით აღმაშენებელის დროს დიდებულები ასეთი მოვლენის წინააღმდეგ მელდარ გალაშქრებას ვერ ბედავდნენ და ვერც ახერხებდნენ.

აღმაშენებელის შემდგომკი თამარის გამეფებამდე დიდგვარიანმა აზნაურებმა ნელ-ნელა იწყეს სამეფოს მართვა-გამგეობაში ჩარევა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდ თანამდებობებს ჩამოცილებულნი იყვნენ და მთავარი სახელისუფლონი ისევ უგვარო პირებს ექირათ. თამარ მეფის ტახტზე ასვლის შემდგომ მათ ეს უფლებაც დაიბრუნეს. თამარი გიორგი მესამემ გაამეფა თავისავე სიკოცხლეში 1178 წელს, მაგრამ მამის სიკვდილის შემდგომ მას რალაც მიზეზების გამო ტახტისათვის თავი დაუნებებია და ხელმეორედ ტახტზე ის შეიღთავე სამეფოს დიდებულებს აუყვანიათ. აქედან სჩანს, რომ დიდებულებს მეფის ტახტზე აყვანის უფლებაც ჰქონიათ, რაც, სხვათა შორის, თვით მეფის დაგვირგვინების წესსაც ეტყობა. დიდებულები მხარტმევენ სამეფო უფლების სხვა-და-სხვა ნიშნებს. გიორგი III გარდაიცვალა 1184 წელს და დიდებულებმა ამავე წელს ტახტზე აიყვანეს თამარი და თაყვანი სცეს, დალოცეს და აღიდეს „სპათა შეიღისავე სამეფოსათა.“

თამარ მეფის დაგვირგვინებისათანავე დიდებულებმა მოიხურვეს უკანასკნელი პატივის დაბრუნება, ჰყვეს ფიცი—ესე იგი შეჰფიცეს ერთმანეთს—და წარუდგინეს შემდეგი მოთხოვნილება: „აღარ ვეგებით ძველთა კელისუფალთა და გამგებელთა საქმისათა ფარმანს ქვეშე მყოფნი, ვინაითგან მათგან დაძვრცილნი და უნატოდ გასულნი ვართ გუარაიანი და მსახურეულნი სახლნი უპატიოდ და უსახელოდ გასრულ ვართ უგვაროთა და უუშართგან“. ერთი სიტყვით მოითხოვეს გადაყენება უგვარო მოხელეთა: ამირსპასალარი¹⁾ ყუბასარისა და

¹⁾ ამირსპასალარი — მთავარსარდალი, იგივე სამხედრო საქმეთა მინისტრი.



მსახურთუხუცესი¹⁾ აღსართანისა, და დადგენილება, რათა მოხელენი ყოველთვის და აუცილებლად მათი რიცხვიდან ყოფილიყვნენ არჩეულები—ესე იგი აუცილებლად დიდ-გვარიანი აზნაურები ყოფილიყვნენ. თამარ მეფე იძულებული იყო აზნაურთათვის დაეთმო და ამის შემდგომ მისი მეფობრივი უფლება შეზღუდულა იყო ერთგვარი აზნაურული საბჭოთი შეიდთავე სამეფოსი, რომელთა წარმომადგენლებად იყვნენ ვეზირები და დიდი მოხელენი. მაშასადამე თამარ მეფის ტახტზე ასვლისას საქართველო დაყოფილი იყო სამეფოებად, ანუ საერისთაოებად, რასაკვირველია, შეიღზე მეტად, ისე, რომ რიცხვს „შვიდს“ აქვს მნიშვნელობა მხოლოდ როგორც აღმოსავლეთის მეფეთა ჩვეულებრივ ხარისხს. სამეფოების სათავეში იდგა მეფე და მართვა-გამგეობა ექვემდებარებოდა მას და მის მოხელეებს, რომლებშიც მთავარი ალაგი ეჭირა მწიგნობართუხუცეს ანუ ჯყონდიდელს; იგი აუცილებლად სასულიერო პირი უნდა ყოფილიყო და მისი სახელი იყო საგამგეო საქმენი. იგივე მოახსენებდა ხოლმე მეფეს საეკლესიო საქმეებს. მეორე ალაგას იდგა სალაშქრო მოწყობილობისა და საქმეების გამგე ამირსპასალარი. დანარჩენ მოხელეებში დაწინაურებულები იყვნენ ხან მანდატურთ უხუცესი²⁾, ხან მეჭურჭლეთ უხუცესი³⁾, რომელთაც მოჰყვებოდნენ მსახურთუხუცესი, ჩურჩერახი⁴⁾ და ამირახორი⁵⁾. და მეფე „იურვის და და იურვოდის ორთა ვაზირთა და სპასპეტსა⁶⁾ თანადგომითა და ერთნებობითა“. დარბაზობის დროს ვაზირნი და დიდნი მოხელენი სხდებოდნენ მეფის ორივე მხარეს წესისაებრ და მიჩენილი პატივითა და სამოსელითა. მაგალითად—ვაზირთა

1) მსახურთუხუცესი—უდრის ჰოფმეისტერს.

2) მანდატურთუხუცესი—ჰოფმარშალი.

3) მეჭურჭლეთუხუცესი—ფინანსთა მინისტრი.

4) ჩურჩერახი—სუფრაჯი.

5) ამირახორი—შტალმეისტერი.

6) სპასპეტი—სარდალი.

და ამირსპასალარის პატივი იყო ოქროქედლილი სელი, მანდატურთუხუცესისათვის ამას გარდა პატივი იყო კიდევ ოქროს არგანი¹⁾.

როდესაც დიდმა აზნაურებმა თავის საწადელს მიადწიეს და თავის სასარგებლოდ მეფის უფლებანი შეასუსტეს, ყოველივე მნიშვნელოვანი საკითხი სწყდებოდა მათი თანადგომით და თანხმობით. ერისთავები თავიანთ საერისთავებში შინაურ საქმეებში სრულიად დამოუკიდებელნი იყვნენ და მეფე მათ საქმეებში თითქმის არ ერეოდა, მაგრამ ხშირად თავისი სამეფოს სხვა-და-სხვა კუთხის დახედვას მოისურვებდა; აქ კი საქმეებს გაიცნობდა ხოლმე და ხშირად სამეფო საქმეები ადგილობრივაც ირჩეოდა. მართალია ეს გადასვლა-გადმოსვლა საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში, როგორც სჩანს, საქმეების გარჩევაზე არ იყო დამოკიდებული, რადგანაც, როგორც ეს ნათლად სჩანს, მეფის ბინის გამოცვლა ჰავაზეა დამოკიდებული და აღბად საქმეების ადგილობრივ გარჩევაც თავისთავად ხდებოდა. თამარ მეფის დროს ერისთავები მეტად ხშირად დამოუკიდებლად ლაშქრობასაც კი აწარმოებდნენ და შეზობლებს ეომებოდნენ. ეს თავისუფლება სამხედრო საქმეებში აიხსნება იმ გამუდმებული ბრძოლა-ლაშქრობით, რომელიც თამარის დროს ქართველებმა, მეტის-მეტი სითამამით, აუტებეს ყველა გარემომდებარე ერებს, რადგანაც ეს ყოველი კუთხისათვის თავისუფალ ინიციატივას და თავისუფალ ლაშქრობას მოითხოვდა.

„შემდგომად ამისა“—ამბობს მატიანე—„ლაშქრობდნენ ზემონი—ზემოდ, ქვემონი-ქვემოდ და შუანი—შუა“. თამარ მეფის ტახტზე ასვლისას სამეფოს სათავეში იღგნენ აგრეთვე სიმდიდრისაგან გადიდებულნი უგვარო კაცნი. დიდებულნი აღბად ვაჰარნი. ერთი ასეთი დიდებულთაგანი იყო მეჭურჭლეთ უხუცესი ყუთლუ არღსანი. რაღაც მიზეზის გამო დიდებულთა

1) ჯოხი.

განდგომის შემდეგ ყუთლუ არლსანს არ სწევდია სხვისი ბედი და ის თავის ალაგას დარჩა. როდესაც დიდებულებმა გაიმარჯვეს, ყუთლუ არლსანმაც მოინდომა მართვა-გამგეობის ხელში ჩაგდება, მეფეს კი მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოს უფლებებს უტოვებდა. ერთი სიტყვით სურდა პლუტოკრატიული კონსტიტუცია, მაგრამ დიდგვარიანებმა, როგორც ეტყობა, მხარი არ დაუჭირეს. მიუხედავად ამისა მას დიდი ძალები ჰქონდა შეგროვილი და თამარმაც პირდაპირ წინააღმდეგობას არჩია მოლაპარაკების გამართვა და ყუთლუ-არლსანის დაქერის შემდგომ განდგომილები შემოიძირგა. მიუხედავად იმისა, რომ მეფის უფლება უკვე შეზღუდული იყო და ცდილობდნენ კიდევ უფრო შეზღუდვით, ის მაინც თვითმპყრობელად ითვლებოდა და, როგორც ზნეობრივი ძალა, ძლიერი იყო ახრი მეფის უფლების ღვთაებრივი მოვლენისა. რაც შეეხება თამარ მეფეს, მის ხომ თვით ღმერთს აღარებდნენ და ღვთის სწორადაც კი სთვლიდნენ. ამიტომ თამარ მეფის თანამედროვე მის ისტორიკოსს თამარის წინააღმდეგ მიმართული საქმენი ღვთის საწინააღმდეგო საქმედ მიიჩნია. აი, სხვათა შორის, როგორ იხსენიებს, თამარს სასულიერო პირი—ანტონ ქყონდიდელი—ერთ თანამედროვე საბუთში: „მოვახსენეთ ღმრთისა სწორსა მეფეთა მეფეს თამარსო“.

გარდა ზნეობრივი ძალისა, რომელიც საქართველოს სამეფოებს მისი სკიპტრის ქვეშ აერთებდა, თამარს არ დაუვიწყია დავით აღმაშენებლის ხერხი და ქართველ დიდებულთა ძალას უპირდაპირებდა უცხო ტომთა ძალას. მის ჰყავდა ყივჩაღთა რაზმები, როგორც ძველი, დავით აღმაშენებლის დროს მოყვანილი, ისე ახალიც. აწინაურებდა იმ დიდებულებს, რომელთაც ქართველ დიდებულებთან დიდი კავშირი არა ჰქონდათ და მაშასადამე ტახტის ერთგული იქმნებოდნენ. ასეთი მოსაზრება მართლაც საუცხოო გამოდგა და სახელმწიფოებრივობის საუკეთესო მოსამსახურეები

გამოდგნენ სომეხი დიდებულები, ძმები მხარკძელები. მათ საქართველოს სამეფოს გაძლიერებას და მეფის უფლების დაცვა-განმტკიცებას მთელი თავისი ღონე შეაღიეს და სამაგიეროდ მათ დასაჯილდოებლად თამარი არაფერს არ იშურებდა. ცხადია ყივჩაღნიც კვლავინდებურად დიდ როლს ითამაშებდნენ მეფისა და დიდებულთა ურთიერთობაში. აქვე უნდა მოვიხსენიოთ, რომ ქართველთა მეფეების ბრძანებას მნიშვნელობა ჰქონდა მხოლოდ მათსავე სიცოცხლეში, ამიტომ ყოველი მათ მიერ გამოცემული ბრძანებისა, წყალობისა თუ სხვა საბუთი უნდა დამტკიცებულიყო შემდეგი მეფისაგან ტახტზე ასვლისათანავე. წინააღმდეგ შემთხვევაში საბუთი ჰკარგავდა თავის მნიშვნელობას და მისი პატრონი ცარიელზე რჩებოდა. და სწორედ ეს იყო ყველაზე ძლიერი შეზღუდვა მეფის უფლებისა, რომელიც თამარ მეფის დროსაც არ გასწორებულა.

ი. ანთაძე

(შემდეგი იქნება)





ჩვენი სამშობლოს წყლები

სამანის-ხევის აბანო

დღესათვის მუჟ აბანო,
უპრეტო და უღვავლო,
და თუ ძღვას თანც ცოცხლ-
ას ძღვას უღვავლო.



ბორჯომიდან ქვემოდ, მეცამეტე თუ მეთოთხმეტე ვერს-ზე მდინარე მტკვარს წინ აჭყუდებია შეუზოვარი კლდე და გზა გადულობია. არ უშვებს კლდე მტკვარს, გზას არ აძლევს; მის ღონიერ ტალღებისათვის ზვიადად მიუშვერია კლდეს მკერდი და ამსხვრევს მათ, წინწყლებად აქცევს. არ უთმობს მტკვარიც, თუმცა სწორე გეზი თავის მდინარებისა შეუცვლია,—არ ეშვება კლდეს; გაჩაღებულა ბრძოლა. მტკვარი ხან მთელი თავისი ძალით ეხეთქება კლდეს: იქნებ გადავანგრეოო, ხან ლოკავს და ფბოქნის,—ეგებ ჩამოიფხვნესო, ხან ძირს უთხრის,—იქნებ გადმოწვესო; მაგრამ ამაოდ: კლდეს გადაწყვეტილი აქვს არც ერთი ადლი, არც ერთი ნაბიჯი უსიკვდილოდ არ დაუთმოს გააფთრებულ მდინარეს.

რად არის ასე თავგამოდებული ის პირქუში კლდე, რად გადაულობია მტკვარისთვის გზა, დაწყურებს ზვეიდან მკაცრად, და რად არ აძლევს მდინარეს ნებას სწორედ გაიაროს?

რადა და იმიტომ, რომ ამ კლდის ზურგის უკან არის გაშენებული ერთი პატარა სოფელი—საევანის-ხევი. ამ სოფელს იფარავს კლდე მტკვრისაგან, რომ უკანასკნელმა არ წალეკოს მოსახლეობა, ხალხის სახლ-კარი, მრავალი წლების განმავლობაში ნაშრომ-ნაღვაწი. მიენდო ამ კლდეს სოფელი, მისი დიდი იმედი აქვს: კლდეც მთელი თავისი ძალით იცავს სოფელს მტკვრის მრისხანე წყლისაგან. იგი სოფელს ვერ უღალატებს: ღალატი ცუდი საქმეა.

სოფლის შუაზე ჩამოჩუხჩუხებს პატარა ხევის წყალი, რომელსაც თავისი ძალით შეუძლია მხოლოდ ორი წისქვილის ქვა დააბრუნოს ერთდროულად; მხოლოდ ჩვეულებრივი წისქვილის ქვა კი არა, რომელიც საძნე ურმის თვალზე მოზრდილია, არა, პატარა ქვები, ისეთი, როგორც ეს ჩვეულებრივ არის მთაში, წყლის სიმცირის გამო. მთის წისქვილების ქვებს სიგანე ერთ ალაბზე ნაკლები აქვთ. სახელი ამ წყლისა არის საევანის-ხევი. როგორც წყლით არის საევანის-ხევი მცირე, აგრეთვე სიგრძეც პატარა აქვს: სულ ოთხი ან ხუთი ვერსი არც კი იქნება. სათავე აქვს იმ მთებში, რომელნიც ბორჯომის ხეობას ჰყოფენ იმერეთისგან, ერთ-ერთ ამ მთების მწვერვალის ძირში; ამ მწვერვალს ეწოდება „ღედაბერა“. იგი სულ მთლად მშვენიერი ტყით არის შემოსილი.

ახალციხე-ახალქალაქის შირა გზა ჩამოდის აწყურზე ბორჯომში, აქედან მოდის ხაშურამდის, სადაც თავდება. სოფელ საევანის ხევთან ამ შირა-გზაზე არის გაკეთებული ქვითკირის ხიდი; ხიდის ქვეშ შხულით გადის საევანის-ხევის წყალი და სოფლის ბოლოს ერთვის მდ. მტკვარს მარცხენა მხრიდან. ბორჯომიდან ჩამომავალმა ამ ხიდიდან რომ გაუხვიოს მარცხნივ საურმე გზაზე, რომლის გვერდზედაც „მორბის ხტუნვით“ საევანის-ხევის ანკარა წყალი, და აუჩქარებლად იაროს, ერთი, ან ნახევარი საათის შემდეგ წაადგება ხევში პატარა,



ორ-სართულიან კოხტა შენობას. აი ეს შენობა არის სავანის-ხევის აბანო.

ეს კოხტა შენობა, ამ საუცხოო ჩარჩოში მოთავსებული, როგორც არიან ყოველ-მხრივ აყულებული მაღალი, მწვანით და ტყით შემოსილი მთები, მნახველს ძალიან სასიამოვნოდ ეჩვენება. მთებს შუა ჩამდგარი შენობა მოგაგონებთ პატიმარს, რომელიც ჯარის კაცებს შუაში ჩაუყენებიათ და არსაით ერთი ნაბიჯის გადადგმის ნებას არ აძლევენ.

შენობა ორ-სართულიანია, დაბლა ორი ოთახია, სადაც მოთავსებულია აუზები საბანაოდ. ქვემო სართული ამ შენობისა ქვითკირისაა, სუფთად ნაშენი, ზემო სართული—ხისაა. ზემო სართულს წინ აივანი აქვს; იგი დასცქერის სავანის-ხევის ცელქ წყალს. სასიამოვნოა ამ აივანზე ყოფნა და აქეთ-იქით ცქერა, მიდამოს თვალიერება; თვალს არ მოსწყინდება ამ საუცხოო ბუნების ცქერა და ფოთოლ-ხშირ ტყის საიდუმლო შრიალის მოსმენა.

სამკურნალო წყარო ამოდის შენობის მარცხენა მხარეს, იგი ამოჩუხჩუხებს რამდენსამე ადგილას და ერთგან ყველაზე მეტად—ცერის სისხოდ. ეს ადგილი აბანოს პატრონს შემოუვლია ქვითკირით; ერთ მხარეს არის კლდე, სხვა მხარეებზე კი რკალად მოსდევს ქვითკირის ნახევარ ალაბის სიმაღლე გალიავანი; ამის გამო წყალი დაგუბებულია, დამსგავსებია პატარა ტბას, რომელიც ლურჯად ლივლივებს. ანკარაა და გამჭვირვალე ეს ძვირფასი წყლის ტბა. როცა უცქერი მის ძირს, ატყობ, როგორ სცემს კლდის ქვეშიდან შადრევანივით წყალი და მას თან მოსდევენ ბუშტები; ეს ბუშტები ხან ჰქრებიან, ხან კი მრავლად მორბიან ტბის ძირიდან, და ახწევენ თუ არა ზედა პირს, უმაღვე უჩინარდებიან.

წყალს ფერი ლილისა აქვს, გემო—კვერცხის გულისა, სუნნი კი—გოგირდისა. ამიტომ არის, რომ გოგირდის წყალს ეძახიან.

ამ წყლის თვისება ჯერ არსად არავისგან არ არის გამოკვლეული. წყალი ხალხს სამკურნალოდ მიაჩნია: არჩენს ყოველგვარ ქარებს, სხეულის სიმსივნეს, მუწუკებს და ძვალთა ტეხას. ბანაობა შეიძლება მხოლოდ ზაფხულობით, სამი თვის განმავლობაში.

სულ რვა წელიწადია, რაც აბანოს შენობა აუგიათ. წინად აქ მარტო წყალი ყოფილა, სრულებით მოუწყობელი. მისი სამკურნალო თვისებანი მხოლოდ ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებლებს სკოდნიათ და საბანაოდაც უვლიათ. ავადმყოფები სოფელ სავანის-ხევში ქირაობდნენ გეჯებს, ათობდნენ წყალს, ასხამდნენ გეჯაში და ცის ქვეშ ბანაობდნენ. ზოგიერთი ავადმყოფი უფრო ადვილად აწყობდა საქმეს თავის მორჩენისას,—პირდაპირ მიწაში სთხრიდა ორმოს, შიგთბილ წყალს ასხამდა და ბანაობდა. ასეთი წამლობა, რაღა თქმა უნდა, მომეტებულ რიცხვს ავადმყოფებისას კი არა რგებდა—უფრო ავნებდა, რადგანაც ადვილად ცივდებოდნენ თბილ წყალში ბანაობის შემდეგ ცის ქვეშ და ანთებით ან სხვა ავადმყოფობით ხდებოდნენ ავად.

საქონელიც თურმე ძალიან ეტანება ამ წყალს სასმელად: ცხელ ზაფხულის დღეში სავანის-ხევში მყოფი ხარი თუ კამეჩი ხევის-წყალს არ დალევს; რაც უნდა შალა იყოს მთის ფერდობზე, უეკველად ძირს დაეშვება, ამ წყაროსაკენ გასწევს და მის გემრიელ წყალს წყურვილის მოსაკლავად ხარბად ეწაფება.

გზა, რომელიც მისდევს სავანის-ხევს და მიდის აბანოსკენ ცუდია, ურმისათვის ძნელი სავლელი და ცოტა არ იყვეს—საზიფათოც.

უახლოესი რკინის გზის სადგური სავანის-ხევის აბანოსთვის არის „სუმბათოვო“, საიდანაც შეიძლება მიმოსვლა ურმით,

ხოლო საქიროა მტკვარზე გადასვლა, და ამიტომ იქ მოწყობილია კარგი ბორანი.

მთა „დღედაბერას“ მეორე მხარეს, იმერეთში, შორაპნის მაზრაში არის სოფელი ნუნისი; ამ სოფლის ახლო გამოჩუბჩუბებს სწორეთ ისეთივე წყალი, როგორც არის სავანისხევის სამკურნალო აბანო. საერთოდ საქართველოში მრავალია სამკურნალო პირველ-ხარისხოვანი წყლები. მხოლოდ მათი მოწყობა და გამოყენება არის საქირო.

ი. ხუციშვილი.





მოგონება აზრუმის აღებისა



ერ კიდევ ახალ-მოსული ვიყავი ბრძოლის ველზე, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მივადექით აზრუმის სიმაგრეებს. როგორც მოგეხსენებათ, აზრუმი პირველ-ხარისხოვანი ციხეა და, რასაკვირველია, მისი აღება ფასადაც დაგვიჯდებოდა.

ჩვენ კორპუსს ნაბრძანები ჰქონდა ერთ კვირაში აელო, როგორც უნდა დასჯდომოდა. ჩვენი პოლკიც შეუდგა მზადებას.

იანვრის 27-ს, 1916 წელს, დილის 10 საათი იქნებოდა, ჩვენი პოლკის უფროსმა მიიღო ბრძანება კორპუსის უფროსისაგან აელო ერთი აზრუმის ციხის სიმაგრე, სახელად „კამურგა“. ეს უზარმაზარი მთა იყო, რომელიც ოსმალებს ციხედ გამოეყენებინათ და ზედ მშვენიერი ფორტები აეგოთ. პოლკის უფროსმა ყველა ჩვენი პოლკის ოფიცრები დაიბარა, დარიგება მოგვცა და ჩვენი მოქმედების გეგმა აგვიხსნა. მე ტყვიის მფრქვეველ რაზმში ვმსახურებდი. ჩემთან ერთად სამი ქართველი ჯარის-კაცი იყო, დანარჩენნი კი—რუსები. მიხაროდა, რომ ჩემ თანამემამულე ჯარის-კაცებთან მომიხდა სამსახური, თუმცა მათი რიცხვი მცირე იყო.

ჩემი რაზმიც შეუდგა მზადებას. დავარიგეთ ტყვიის მფრქვეველები როტებში; მხოლოდ მე და ჩემი თანამემამულენი №-ს

ბატალიონს უნდა გავყოლოდით. არ გასულა დიდი ხანი და მოახლოვდა ეამი განსაცდელისა. ყველა ჯარის-კაცს დაღრე-ჯილობა ეტყობოდა; თუმცა არ იმჩნევდნენ და შედგარდ წინ მიიწევდნენ.

საათის 11-ზე ზარბაზნებმა იწყეს გრიალი. იმათ ხმას ბევრი დაეყრუებინა, რადგან ციხის ზარბაზნები დიდნი არიან და, რასაკვირველია, მათი ხმაც დიდად ისმოდა. ცოტა კიდევ გავსწიეთ მტრის სიმაგრეებისაკენ და მოისმა გახშირებული თოფის სროლა; მას მოჰყვა ტიტინი ტყვიის შფრქვევებები-სა. ყველა ეს ერთმანეთში იყო არეული, ასე რომ კაცი ვერ გაარჩევდა. სულ მალე მტერსაც მივუახლოვედით და შეიქნა ხელჩართული ბრძოლა. საზარელ სურათს წარმოადგენდა ეს სანახაობა. დაქრილთა ყვირილი — „მიშველეთ, მიშველეთო!“ მხოლოდ-ღა ისმოდა. ბევრი კი სრულიად გამოსალმებოდა წუთი სოფელს.

შრაპნელს სულ ბოლში გაეხვია მეომრები. მტერი თავს არ იზოგავდა. ეტყობოდა ენანებოდა აზრუმის დაკარგვა. მე როგორც გაგიყებული ისე ვიყავი და თავი სიზმარში მეგონა. ალბად მაშინ ომში გამოუცდელი ვიყავი. ამ დროს მომესმა ხმა. ჩემ გვერდით კაცი იდგა. „ბატონო, მე თქვენთან ვიქნები, მე მოგივლით, რომ რამე დაგემართოსთო“. მოვიხედე და დაინახე ჩემი ერთგული თანამემამულე, ქართველი ჯარის-კაცი, რომელიც თურმე არ მცილდებოდა და თან დამდეგდა ამ საზარელი ომის დროს. მეც გავმხნევედი. ყველაფერი დამავიწყდა: ცოლშვილზე ზე დედ-მამაზე აღარ ვფიქრობდი, — ახლა მხოლოდ ჩემი თავი-ღა მახსოვდა.

ტყვია წვიმასავით მოდიოდა, მხოლოდ იღბლად მე არ მხვდებოდა. ეს დღე ჩვენთვის ცუდი გამოდგა: მტერს ვერ მოვერიეთ, მან დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია, და უკან დავიწიეთ ჩვენ ძველ სიმაგრეებზე; თან წამოვიყვანეთ ჩვენი დაქრილებიც. მთელი დღე შშივრები ვიყავით, რადგან მტე-

რი ნებას არ გვაძლევდა საკმელი გვექამა. პური გვენატრებოდა, მაგრამ სად იყო. მტერი სამაგიეროს ვეიხდიდა: მთელი ღამე შრაპნელით გვიმასპინძლდებოდა და მოსვენებას არ გვაძლევდა.

მეორე დღეს ყველა ეს შეიცვალა. მტერი თითქო დაიღალაო, და ომიც შეწყდა. ზარბაზნები ჩაჩუმდნენ, და ჩვენც დავისვენეთ. ჩვენი სამზარეულოც მოგვიტანეს. მალე ცხელი საკმელი ექამეთ. ჯარის კაცებმა მშვენიერი სიმღერა დასძახეს. მე ამ დროს ჩემ მიწურში ვიჯექი. მაგონდებოდა ჩემი დედ-მამა, კოლშვილი. უცებ თავში აზრმა გამიარა და შეწერა წერილი, რომ მეუღლისათვის ჩემი კირ-ვარამი შემეტყობინებინა. დავიწყე თუ არა წერილის წერა, ამ დროს ჩემ მიწურს რალაც დაეცა. უცებ შევფოთი. ეს შრაპნელი ყოფილიყო, რომელმაც ცალი გვერდი გამოაცალა ჩემ ქოხს. რალა შეწერებოდა: გონება დავკარგე, ჩემი თავი დაშავებული მეგონა. მაგრამ ღვთის მადლით კარგად დავრჩენილიყავი. ღმერთს მადლობა შევეწირე და პირჯვარი გადავისახე. ნათქვამია „შისის დროს ღმერთი ვაგონდებო“. ეს იყო, და ხელახლად მოისმა ზარბაზნების ზუზუნი. ეტყობოდა ჩვენი არტილერია ესროდა მტერს, რადგან ნიადაგს ამზადებდა, რომ ჩვენ შეძლება გვექონოდა შემდეგისათვის ადვილად აგველო სიმაგრები. მტერიც გამოეხმაურა და შეიქმნა შრაპნელის შრიალი. რა მდგომარეობაში უნდა ვყოფილიყავით, თვითონ მკითხველი მიხვდება, რადგან არ ვიცოდით, რა დროს რა მოვიხდებოდა.

ამ დღიდან დაწყებული 2 თებერვლამდე ზარბაზნებს არ დაუსვენიათ: დღე-და-ღამ გრიალი ვაჰქონდათ.

2 თებერვალს ხელმეორედ მივიღეთ ბრძანება კორპუსის უფროსისაგან მტრის სიმაგრები აგველო. ჩვენც, რასაკვირველია, მაშინათვე გავსწიეთ და ეს დღე ჩვენთვის ნამდვილი ჯოჯოხეთური იყო. მტერი თავგანწირვით იბრძოდა. გაჩაღდა

სისხლის ღერა. ყვირილი, თოფის სროლა, დაკრილების კვება, ცხენების ხეიხვინი ერთმანეთში იყო არეული. დაკრილები იძახდნენ: „ვაიმე, დედა, დედაო!“ მე კი ამ დროს დამალონა ჩემი ერთი თანამემამულის დაკრამ. ეს ის კაცი იყო, რომელიც წინანდელ ომში მე იმედს მაძლევდა.

მალე აზრუმის ციხე დაეცა. სიმაგრე „კამურგა“ ხელთ ვიგდეთ. მტერი შეშინებული გარბოდა. მას ჩვენი ყაზახები უკან დაედევნენ და შეუბრალებლად სჩეხდნენ. სალამოს ეამს ქალაქ აზრუმში შევედით.

ალექსანდრე გორგაძე





ნაკადული



რეცეპტი

(წარმოდგენილი ზინა ცხველიანის-მიერ)

მ დაბა კვე-
მო იმე-
რეთში.



ფ 100, გ



ვ ვ

მინ-
დორი
ანუ?



უმცროსს მო-
წინააღმდეგე?



ფ ფ

ილია უკუაგ-
ებეს სოფელი.



ს ვ

25 დეკემ-
ბერი.





წელიწადი
მეთოთხმეტე.

„ნაკადული“

წელიწადი
მეთოთხმეტე.

ქუჩისათვის გამოცემა ჩვეულებრივი პროგრამით
საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით
მცირე-წლოვანთა და მოზრდილთათვის.

თუ გარემოებამ ხელი არ შეუშალა რედაქციას, ეცდება მცირე-
წლოვანთათვის წინანდელივით ორი წიგნი გამოსცეს თვეში და მო-
ზრდილთათვის—ერთი წიგნი; წინააღმდეგ შემთხვევაში კი გამოი-
ცემა თვეში ერთი წიგნი მცირე-წლოვანთათვის, და ერთი წიგნი—
მოზრდილთათვის.

ფასი ქუჩისათვის: წლიურად ორივე გამოცემა—12 მან. ნახე-
ვარი წლით—7 მან. ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის—7 მან.
მოზრდილთათვის—7 მან. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნა-
წილადაც.

რედაქციაში არის გასული წლის კომპლექტები.

ხელის მოწერა მიიღება

თბილისში— „ნაკადულის“ რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი,
გოლოვინის პროსპ. № 8. Редакция „Накадули“, Головинский пр. № 8.
შემოსასვლელი—დავითის ქუჩიდან, № 2., წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა; ქუთაის-
ში—ისიდორე კვიციანიძისთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრი-
შვილთან. ფოთში—ლუდმილვე მეგრელიძისთან. ბათუმში—ტრო-
ფიმ ინსარაძისთან, ფოსტაში, ტ. სამსონ ყაზიშვილთან—ქალაქის
გამგეობაში. თელავში—ვანო პაატაშვილთან. ახალციხეში—კონს-
ტანტინე გვარამაძისთან. ბაქოში—შეთოდე კაკაბაძისთან. გორ-
ში—ქეთევან ჯავახიშვილთან ტ. ნინო ლომოურთან. შიდათურაში—ი.
წერეთელთან. ხონში—მ. ი. ქავჭავანიძისთან. მიხაილოვოში—გიორ-
გი ნაკაშიძისთან. ოზურგეთში—სალომე ხუნდაძისთან, ლანჩხუთ-
ში—მასწავლებელ ჯუღელიანთან.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე
გამომცემელი მ. პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.